

K 230.025
3

សាស្ត្រពិភ័យ
សាស្ត្របន្លាក់

សេវាខាងក្រោម



សេវាខាងក្រោម

គត់ចំណែក





ԵՐԵՄԻԾՂՈՅ,
ԸՆԿԱՆՂՈՅ,
ՂԸՆՉՈՆՈ...

տօնօթօսօ 1997 թ.

329.150.1(092 6 հայժենց) + 329.150.1(092 ձեղնոց) + 329.150.1(092 7 թշն)

1) Խելչիկոց, ճշուա Արքայուս ծց

2) Ձեղնոց, բանօր ուստ ծ 3) Պրոնո, ճոհու ճշուա ծց

Կրաքարությունը և մասաւությունը պատճենահանությունում գաղտնաբառը կարությունը և բառապատճենահանությունը պատճենահանությունում գաղտնաբառը կանոնավոր է:

„Համապատասխան պատճենահանությունում գաղտնաբառը կանոնավոր է” №8, 1988թ; „Թօնությունում գաղտնաբառը կանոնավոր է” 2. I. 89. և 9. VIII. 1989թ; „Տանաօրությունում գաղտնաբառը կանոնավոր է” 2. VIII. 1989թ; „Տանաօրությունում գաղտնաբառը կանոնավոր է” 1. VI. 1991թ; „Թուականությունում բառապատճենահանությունում գաղտնաբառը կանոնավոր է” №21. 24. V. 1992թ; „Տանաօրությունում գաղտնաբառը կանոնավոր է” 2. VI. 1992թ; „Թանօ” №№108-111, 1997թ; „Արշավարտությունում գաղտնաբառը կանոնավոր է” №37 1997թ.

Կրաքարությունը պատճենահանությունում գաղտնաբառը կանոնավոր է:

ԵՎՀՀ-2000
ՅԵՐԵՎԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ
ՅԵՐԵՎԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



შესაგაღი

ამ წიგნში მოთხრობილია რუსული-საბჭოთა იმპერიის უკანასკნელი ოთხი ათწლეულის სამი ღიაღერის შესახებ. თუ არ ჩავთვლით ერთ ქვეთავს, რომელიც ხრუშჩოვის საქართველოსთან დამოკიდებულებას ეძღვნება, წიგნი მთლიანად თანამედროვე რუსი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მოგონებებზე არის აგებული.

მყითხველს თავად ექნება საშუალება, დარწმუნდეს, თუ როგორი ერთმანეთის მსგავსი პრიმიტიული ადამიანები მართავდნენ და

მართავენ იმ კედა სახელმწიფოს, რომელსაც ჩუსეთი ჰქვია - რა ვნების მოტანა შეეძლოთ მათ პირველ ყოვლისა საყუთარი ხალხი-სათვის და, მით უფრო, რა ბედი ეწეოდა მათ ხელში იმპერიი-სათვის მარადის უცხოსა და მიუღებელს, თუმცა კი დაპჭობილს, მაგრამ შინაურად ვერძეულსა და ვერმოთვინიერებულ პატარა საქართველოს

გამდიდებულილ პოლიტიკოსებზე აუგის თქმა ჩუს სახელმწიფო მოღვაწეთათვის ჩვეული ამბავია. ამდენად, ხრუშჩინვის და ბრეჟენევის შესახებ უკადრისი ელფერით შემქული თხრობა დაშვებული სითა-მამეა ჩუს ავტორთაგან, ხოლო ის, რაც ამ ფარგლებს სცილდება, განხლავთ ელცინის ყოფილი პირადი ხელშეკრითის, კორსაკოვის, მე-მუარები, რომლებიც, ლამის არის თავზე გადაახიონ მათ ავტორს - ეპვი შეაქვთ ფაქტების სარწმუნოობასა და უტყუარობაზე, მოვლენათა სწორად ასახვაშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ავტორის რეალობაშიც კი - რას იზამ, ეს უკანასკნელი პრეზიდენტი ჯერ კიდევ ცოცხალია და სამოღვაწეო არენაზეა!

ჩვენ კი ამ კრებულს თამამად შეგვიძლია წავუმძღვაროთ ტალეირანის ის გამონათქვამი, რომელიც თვით კორფაკოვს ეპი-გრაფად დაურთავს თავისი წიგნისათვის:

„მრავალ ერს დაუცემოდა თავზარი, რომ გაეგოთ, როგორი უმნიშვნელო ხალხი მბრძანებლობს მათზე.“



ნიკიტა სერგეევიჩი

ფერწერის მუზეუმის ნარჩენებიდან
„ხრამოვი – შტრიხები პოლიტიკური
პორტრეტისათვის“
ლიტერატურნაა გაზეთა №8. 1988

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – სტალინი არ ერჩოდა ხრუშჩოვს. რა იყო ეს – მოხუცებულობითი სიბრძავე? ალბათ, არა. ნიკოლო მაკაველის, ტირანიის ამ ბრწყინვალე მამხილებელს, „უთქვაშს როგორლაც: „ბრუტოსი ცენარი გახდებოდა, სულელად რომ მოეწვენებინა თავი“. ვფიქრობ, ხრუშჩოვი სწორედ ასე იქცეოდა. ჰყვებიან, რომ კუნცევოს აგარაქე, სადაც უკანასკნელი ოცდათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა სტალინი, დამეული დროსტარებისას, ბელადი ხრუშჩოვს გოპაკის ცეკვით აბუქნავებდა. ისიც, დარღიმანდულად „უკრაინკაში“ გამოწყობილი თავს ისე აჩვენებდა, რომ მას, რაღა თქმა უნდა, არ უნდა ჰქონოდა ოდესმე ხელისუფლებაზე რაიმე პრეტენზიები და სხვისი ნების საიმედო შემსრულებლობა ხელეწიფებოდა მხოლოდ.

მაგრამ, ეტყობა, უკვე მაშინ ღრმად ჩაეხვია მას პროტესტი გულში და ის იყოს სწორედ, ბოლმად რომ გადმოანთხია სტალინის სიკვდილის მეორე დღესვე...

უკრაინა „ისტუსსტვო კინომ“ გამოსაქვეყნა ცნობილი კინოდრამატურგის ჰელი გამოიღოვანის ჩანაწერები სათაუროთ „დასასწაული“. ესა მოძვალი კინოსცენარისათვის განკუთვნილი სხვადასხვა ფაქტების და მოვლენების კოლაჟი, რომელთა უშუალო მომსწრევა კოფილა ივა ერთ-ერთი მათგანი ხრუშჩინის ნამბობი სტალინზე.

„თბილისი“ 2.1.1989.

„თავდაპირველად, — წერს გამრილოვიჩი — ხრუშჩინმა გვითხრა, რომ მათი (ანუ სტალინისა და ხრუშჩინის) აგარაქები გვერდიგვერდ იყო და, სტალინი, რომელიც კარგად იყო მისდამი განწყობილი, საღამოობით ხშირად იწვევდა თავისთან“. გამრილოვიჩის თქმით, ხრუშჩინის მაინცდამინც გულზე არ ესატებოდა ამგვარი დაპატიჟება, რაღანაც — გამრილოვიჩის სიტყვასიტყვით მოაქეს ხრუშჩინის ნათქვამი — „როცა სტალინთან გეძახიან, შეუძლებელია მიხვდე, სად იქნები დილით — საკუთარ ლოგინში თუ გზად კოლიძისაკენ.“

შემდეგ გამრილოვიჩი ასე გადმოგვცემს ხრუშჩინის ნამბობს: „სტალინი იჯდა ბაღის ტალავერში და ჩაის სვამდა. იგი გულითადად მიესალმა ხრუშჩინს. ისინი შეეცცლდნენ ჩაის და ბაასობდნენ. ხრუშჩინის არ უთქვამს, რა ს ეხებოდა საუბარი, მაგრამ, ვფიქრობ სერიოზულ თემებს. გადიოდა დრო, ჩამობნელდა, სტალინი მოიღუმა. შემდეგ ერთბაშად დადუმდა. რამდენიმე ხანს მათ ხმა არ ამოუღიათ. შემდეგ ხრუშჩინმა თქვა: — შინ წავალ, იოსიუ ვისარიონოვიჩ, — უკვე დროა, ცოლი მელოდება. სტალინმა არ უპასუხა. ხრუშჩინი წამოდგა. სტალინი კვლავ დუმდა.

— წავედი, — თქვა ხრუშჩინმა.
— არსადაც არ წახეალ, — უპასუხა სტალინმა, — აქ დარჩებით.
— არ შემიძლია, იოსიუ ვისარიონოვიჩ, ცოლი მელოდება.
— აქ დარჩებით! — გაიმეორა სტალინმა და ხრუშჩინის ახედა. ხრუშჩინის თქმით, ეს სწორვდ ის მზერა იყო (ესე იგი, ავისმომასწავებელი).

ბეჭადი ადგა და წავიდა. უცებ მოვიდა მორიგე და ხრუშჩინი მის ოთახში მიაცილა.

ასე გავიდა დამე. ხრუშჩინს ცუდად ეძინა. დილით ჩაიცვა და ბაღში ჩავიდა. ტალავერში გუშინდელი საღამოს მსგავსად, იმავე პოზაში სამოვარს უჯდა სტალინი და ჩაის სვამდა. ხრუშჩინი მიესალმა, ჩამოჯდა და ჯანმრთელობის შესახებ პეითხა. სტალინი დუმდა. ხრუშჩინმაც ერთხანს არაფერი უთქვამს. მერე კი, რაც შეიძლება უდარდელად პეითხა, წუხელ როგორ გეძინათო.

სტალინმა არ უპასუხა. ჩაის სვამდა. დიდხანს. აუჩქარებდლად. მერე პეითხა:

— ერთი მითხარით, ვინა ხართ თქვენ? აქ როგორ მოხვდით?

- მე?
- დიახ, თქვენ.
- იოსიფ ვისარიონოვიჩ, - უპასუხა საგონებელში ჩატარდნილმა წერილების მიზნით მას, - მე ხრუშჩივი ვარ.
- ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, ვინა ხართ თქვენ, - თქვა სტალინმა,
- ჭიქა გასწია, ადგა და ტალავერი დატოვა.
- რა უნდა მექაო, - ჰყვებოდა ხრუშჩივი, - უკან გაყოლა არ შეიძლებოდა. მინ დაბრუნება კი უარესი იქნებოდა. აღელვებული ხრუშჩივი წამომდგარა და ბადში დაუწყია სიარული. ათი წუთის შემდეგ მას მორიგე დაეწია.
- ნიკიტა სერგეევიჩ! ამხანაგი სტალინი გეძანით, ყველგან დაგეძეთ.

მეტი რა გზა იყო, ნირწამხდარი ხრუშჩივი უკან ტალავერისაკენ გაბრუნდა. იქ ისევ სტალინი იჯდა და ჩაის სვამდა.

- რა ხედია, სადა ხართ, ნიკიტა სერგეევიჩ? - ალექსიანად პკითხა მან. - არ შეიძლება ამდენ ხანს ძილი. რა ხანია გელოდებით.

- ხომ ხედავთ, როგორი იყო იგი! - ასე დაასრულა თავისი ნაამბობი ხრუშჩივი, - ჯანმრთელი იყო? ავადმყოფი? გულწრფელი? თვალთმაქცობდა? არადა, თქვენ კარგად იცით რასაც ლაპარაკობენ ჩემშე იმის გამო, რომ მე ის ვამხილე.

მხატვრული კაშაკოვის მოვონებებიდან „სურათები ქვიშაზე“

„ოვონიოვი“ №8 1988წ.

სპექტაკლ „ბოლშევიკებს“ ყოფილი პრემიერი ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩივი ოჯახისა და ჩინოსნების გარემოცვაში ესწრებოდა... სპექტაკლის შემდეგ ხრუშჩივი ოჯახის წევრებთან ერთად შემოვიდა ხელმძღვანელობის კაბინეტში.

- კარგი, საჭირო სპექტაკლია - ნიკიტა სერგეევიჩი ხელს ართმევს შატროვს. იგი აღელვებულია და სალაპარაკოდაც განწყობილი სჩანს: - მო, სტალინი, სტალინი... ეს იყო ორსახოვანი იანუსი. მახსოვს, ერთხელ კრემლში გამომიძახა. მიღდივარ. ზის თავისთვის ფანჩატურში. კრემლში მაშინ გარეშევის არ უშვებდნენ. ეს მე დავუშვი მერე... კმაყოფილი იცინის, - ესე იგი, ზის თავისთვის ფანჩატურში და გაზეთს კითხულობს. ვუახლოვდები. ვახველებ. მერე ვეუბნები: „გამარჯობათ, იოსიფ ვისარიონოვიჩ! „გავიძარვოს ნიკიტა“.

ხრუშჩივი სტალინის მაგივრადაც ლაპარაკობს, უნიჭოდ ბაძავს აღმოსავლურ კილოს, ისე, როგორც ამას სჩადიან ძალიან უბრალო ადამიანები.

ვეკითხები: „მექანიზმი, ისიც ვისარიონოვიჩ?“ „გეძახდი, ნიკიტა“ ვდგევარ. ველოდები. ხმას არ ვიღებ. „აი, მეც გეაზელით, ისიც ვისარიონოვიჩ!“ „ვხდეავ, რომ მოხველი ნიკიტა. შენ ისეთი მსუქანი ხარ, შენი ვერშენიშვნა შეუძლებელია“. „გისმენთ, ისიც ვისარიონოვიჩ!“ „აი, რა ნიკიტა. გუშინ ქრემლის ქომენდანტი აიყვანეს!“ „ვიცი, ისიც ვისარიონოვიჩ!“ „ვიცი... ვიცი... ის თუ იცი, ნიკიტა, რომ შენ გადებს ხელს?“ მე გავუითრდი: „შეუძლებელია, ისიც ვისარიონოვიჩ!“ „რა არის შეუძლებელი? შენ გადებს ხელს!“

ხრუშჩინი აკეთებს პაუზას კარგი მსახიობივით. იგი უბრალოდ კი არ ყვება, არამედ განიცდის მოვლენებს, როგორც ჩვენ, მსახიობებმა ვიცით ხოლმე.

მე ვეუბნები: „არა, შეუძლებელია, ამხანავო სტალინ!“ „რა გააჭირე საქმე ამ შეუძლებელიათი, რომ გეუბნები ხელს გადებს მეთქი!“ ვდგევარ სარგადაყლაპულივით, ხმავა კმენდილი. სტალინმა გაიცინა და მხარზე დამკრა ხელი: „გეხუმრები, ნიკიტა, გეხუმრები...“

ახლა ეპენ კაბინეტში ჩამოვარდა სიჩუმე. ამ საშინელი პაუზის შემდეგ გალავ ვოლჩიკმა, ატმოსფეროს რამენაირად განსამუხტავად, ძალზე გულშემატკიცრულად ამოოხვრით თქვა ხრუშჩინის მისამართით:

— ნიკიტა სერგეევიჩ, ამისთანა ხუმრობის შემდეგ, კაცმა შეიძლება ინფარქტიც მიიღოს...

ხრუშჩინი მკვეთრი მოძრაობით მოტრიალდა მისქნ:

— ინფარქტი? (სახეზე წამოჭარხლდა) ინფარქტი? იცით რას გატჟიოთ? მე უბრალო კაცი ვარ და ამისთანა ხუმრობისათვის...

სრულ სიჩუმეში რამდენჯერმე გაიმეორა „ხუმრობა“, „ხუმრობა“, თავი გადაიწინა და მერე კიდევ ერთხელ დამარცვლა: „ხუმრობა“...

კირილ მუშაროვის სტატიიდან:
„მ მცოდნდ ჩემს თავზე არ ვლაპარაპობ“

გაზ. „ხოჯუტსკაია როსტა“ 19. 11. 1989წ.

მასში ბევრი რამ იყო ერთმანეთში არეული. იყო ფეთქებადი, ძალზედ შრომისუნარისი... მე მასთან ერთად ვიმყოფებოდი გაერთიანებული ქრების ორგანიზაციის იმ ავადმოსაგონარ სხდომაზე, სადაც იგი ფეხსაცმელს უბაგუნებდა. მე და დანარჩენი ჩემი ამხანავები უხერხელად ვერძნობდით თავს, ამერიკელებს კი ნამეტნავად მოეწონათ. მისით პირდაპირ აღტაცებული იყვნენ ყველგან, და მასაც უმტკიცდებოდა რწმენა, რომ ყველაფერი შესანიშნავად ჩაიდინა.

„რას გარდავთმით?“

„ლიტერატურნაა გაზეტა“ 20. 04. 1988წ. ნაწყლი

ამერიკის შერცხვენის საშუალებათა ბეჭითად ძიებაში, ნიკიტა ხრუშჩოვმა ბრძანება გასცა ყოველგვარი უარის აღკვეთით შეესყიდათ კოლმეურნებისაგან მთელი მათი ოქონანი პირუტეფი. ასეთი ადმინისტრაციული გზით მან შესძლო საზოგადო მფლობელობაში გადაეცვანა რამდენიმე მილიონი სული საქონელი. მაგრამ სიცივების დაღვომასთან ერთად, გამოირკვა, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შზად არ არიან მათ დასაბინავებლად და გამოისაკვებად და გარკვეული ნაწილი დასაკლავი გახდა. მას შემდეგ აღარ დარჩა სოფლად აღარც ძროხა, აღარც ხდო...

ან გავიხსნოთ საბედისწერო დადგენილება ცხენების შესახებ: ისინი გამოაცხადეს მუქთამჭამელებად, სხვისი საკვების მიმტაცებლებად, რომლებიც არცხვენდნენ სოციალისტურ რესერს უაზრო ჭიხენითა და ურმის ჭრიალით. მაგრამ აქ საქმე მარტო „ურმის ჭრიალში“ როდი იყო. რომელიდაც კარის ლაქიამ ჩაუფეჩენა ხრუშჩოვს ფურში, რომ თუ დაკლავდნენ რამდენიმე მილიონ ცხენს, ამით უამრავი საკვების ეკონომიას გასწოვდნენ და ამას დავმატებოდა მუქთად გაჩნილი უღილესი რაოდენობის ცხენის ხორცი! ახლა ტყავი — ქამრებისა და ფეხსაცმლის ლანჩისათვის! და მართლაც, აიკრძალა ცხენებისათვის საკვების მიცემა, ისინი ამოიღეს ყველა საზის სააღრიცხვო ბარათებიდან, ანუ გამოაცხადეს კანონგარეშედ და კოლმეურნეობები, სურდათ ეს მათ თუ არ სურდათ, იძულებული გახდნენ გაესტუმრებინათ ცხენები სასაკლაოზე...

დღეისათვის რე ფერმიდან სოფლის საბავშვო ბაღამდე მისაბმელიანი ტრაქტორით გადაქვთ, მაშინ, როდესაც თვით მაღალმოტორიზებულ ამერიკას ყოველდღიური სამუშაოებისათვის 10 მილიონი ცხენი ჰყავდა გამოყოფილი.

„ახლა დეკორატიული აგროქალაქები? ხდებოდა ხოლმე, რომ ასეთი თეატრალური ცხოვრებისათვის აღამიანებს ძალით, მილიციის დახმარებით მიერეკებოდნენ ღობის ძირში მიღვმული საჯროთ ტუალეტიანი მრავალბინანი სახლებისაკენ, ამასობაში კი მიტოვებული სოფლები არაპერსპექტიულად ცხადდებოდა; ეზოებს ძეძვი ედებოდა, რაღიოს ბოძები ირყვოდა, ჭები იქცეოდა...“

ანდრეი კოშნესენსკის წერილისადან:

„ისტორიის თვალები“
„სოკეტ სკას კულტურა“, 26.IV.88)

პოეტებმა, რომლებიც პირველად 60-იან წლებში გამოვიდნენ ას-პარეზზე, თავისი საუკეთესო ნაწარმოებები შექმნეს 70-იანსა და 80-იან წლებში. მათ ღვეუძებში აღიბეჭდა იღუზიების მსხვევების შედეგებით გამოწვეული სინაზული. პოეზიაში თაობებად დაყოფა მექანისტურია. იმ წლებში მე დავწერე თაობათა შესახებ და მათ ყოფილ „პორიზონტალურად“ (ასაკის მიხედვით) და „ვერტიკალურად“ (სინდისისა და ტალანტის მიხედვით). ჩემი აზრები „ვერტიკალური“ თაობების შესახებ ცილისმწამებლური დამანიჯებით მოუტანეს ხრუმჩოვს, რათა იგი მოთმინებიდან გამოეყვანათ ინტელიგენციასთან გახმაურებული შეხვედრისას კრემლში.

მან გამიხმო მე ტრიბუნაზე.

სკერდლოვის ცისფერი თაღოვანი დარბაზი ავსებული იყო საპატიო კოსტიუმებითა და თეთრი ნეილონის პერანგებით, რომლებიც ის-ის იყო მოდაში შემოდიოდა. აქ ძირითადად ჩინოსნები ისხდნენ, რომელთა შორისაც შეინიშნებოდა შემოქმედებითი ინტელიგენციის თითოოროლა წარმომადგენელი.

გამომსცვლელთა ტრიბუნა ზურგით იღვა პოეზიდოუმის მაგიდისაკენ. იგი სულ ახლოს იმყოფებოდა იმ მაგიდასთან, რომელსაც მორცმით უსხდნენ ხრუმჩოვი, ბრეზნევი, სუსლოვი, კოზლოვი და ილიჩევი... მათი ათმეტრიანი პორტრეტებით ქაჩქებს რთავდნენ ხოლმე დღესასწაულებზე. ეს სურათები მოირწეოდნენ კოლონების თავზეც.

ხრუმჩოვი ჩვენი იმედი იყო. მე აღსარებასავით მინდოდა მეთქვა მისთვის ღიატერატურაში შექმნილი მდგრამარეობის შესახებ, რაღაც კულტიურის ღიგრძელები, რომ გამიგებდა. მაგრამ საკმარისი იყო, ხმა ამომედო, რომ ზურგსუკან ვიგრძნი, როგორ მაჩერებდა ვიღაც. მე მაინც განვაგრძობდი ლაპარაკს. ზურგსუკანიდან გაეიგონე მიქროფონში: „ბატონო ვოზნესენსკი!“ მე ვთხოვდი, არ გაეწყვეტინებინათ. „ბატონო ვოზნესენსკი – მიღრიალეს ისევ – გაეთრიეთ ჩვენი ქვეყნიდან, გაეთრიეთ!“

დარბაზის ჯურ დაბნეული, ხოლო შემდეგ გაბრწყინებული სახეების დანახვისას ვიგრძენი, რომ ჩემს ზურგს უკან რაღაც საშინელი ხდებოდა. მივტრიალდი. ჩემგან რამდენიმე მეტრის მოშორებით ღრუინავდა ბრაზისაგან სახემოქცეული ნიკიტა: „ბატონო ვოზნესენსკი! გაეთრიეთ! ამხანავი შელეპინი გამოგიწერთ პასპორტს!“ ამას მოსდევდა სრულიად გამაოგნებელი სიტყვათა ნიაღვარი.

რისთვის? რა დავაშავე? რომ არ გადაირია? „დამთავარდა, ყვე-

ლაფერი დამთავრდა” მივხვდი მე. თუ ჭკუჩე არ გადავდი, ალბათ იმან მიშეველა, რომ ჩემი გამოსვლების დროს ყველავერს ვიყავი მიჩვეული.

დარბაზიდან, რომელიც ახლა უკვე ჩემს ზურგს უკან მოექცა, ისმო და ხმაშეწყობილი შეძახილი: „გავაგდოთ!” „სირცეხილი მას!”

თანაგრძნობის იმედად პრეზიდიტებს მოვავლე თვალი და კოზლოვის ყინულან შზრას გადავაწყდი. რჩაირად გინდა რომ შეაჩერო ეს საშინელება? ამ ღრიანცელში მაინც მივაწვდინე დარბაზს ხმა და ვთქვი, ღერძებს წავიკითხავ-შეთქ.

„არავითარი ღერძები! ვიცით! ჩამოდით! გაეთრიეთ!” – მესმოდა უქნიდან. დარბაზს სისხლი სწუფუროდა.

და აქ ხელმძღვანელის სიძრაზისაგან შემღლილ სახეზე მე დავინახე აზრის ერთვარი გამონათებასავით, თითქოს ივი უცაბედად რაღაცამ შეძრა, გონება გაუნათდა და გააღიზანა – ან იქნებ მე მომეჩვენა – თითქოს მან ამ აღტაცებულ ბრძოში თავისი მომავალი დამასამარებელი დაინახა, იგრძნო კონტროლიდან გამოსულ ნომენკლატურის სტიქოური ძალა, რომელიც ერთი წლის შემდეგ კისერს მოუკრეს მას. მან ბოლმი-ანად გადმომიგდო: „არა, წაიკითხოს!”

როდესაც მე იმ ადგილომდე მივედი, სადაც ვამბობდი: „კაკაია პეტელ-ნაა სტუა სკოვალა ბ როდინუ მოისუ! მოას ზამუჩენნაია მუშა, ჩტო პელა ვ ლაგერნომ ქრაოუ?” დარბაზი ავისმომასწავებლად გაისუსა. იმხ-ანად მიმდინარე პროცესებზე კონტროლდაკარგული ხელმძღვანელი პოლი-ტიკაში უკანდახვის გზას ადგა. კითხვის დროს მე ჩემი ჩვეულებისამებრ ხელი მაღლა მქონდა აწეული და ღერძის რიტმს ვაყოლებდი. როდესაც დაკამთავრე, დარბაზში კანტიკუნტი ტაში გაისმა. „აგნტო! აგნტო!” – დაიგრვინა დარბაზისაკენ პრემიერმა. „აპა, აგნტის უხმობს, ახლა მე ამიყვანენ!” – გავიფიქრე. ის კი ისევ გაცყვიროდა, მაგრამ უფრო დაბალ ხმაზე, რადგან ბრაზის პირველი ულუფა უკვე გამოეშვა: „რა ხელებსა სწევთ მაღლა? ვითომ რაო, გზა გინდათ გვიჩვენოთ? თქვენ რა, თქვენი თავი ბელადი ხომ არ გვინიათ?” ნახევარსაათიანი ცვირილის შემდეგ ერთიანად გაითვლა, პერანგი ტანზე მიეკრა მუქი ლაქებით. მაგრამ არც აპირებდა დაოკებას.

– ახლა კი, აგნტო, აქეთ მობრძანდი! თქვენ, სათვალიანო, წითელ პერანგში, იმპერიალიზმის აგნტო! – კოტიტა თითს იშვერდა დარბაზის შუაგულისაკენ, სადაც ახალგაზრდა მხატვარი ილარიონ გოლიცინი იჯდა, თავადთა შთამომავალი, ფავორისკის მოწაფე. თურმე ის მიკრავდა ტაშს...

„ოთხი შესველია 6. ს. ხრუშჩევიაზის მიერად უკონიერი“ №28 1988 წ., ნაწყვეტი მოვონებით.

... უნდა ითქვას, რომ მე მანამდე ხრუშჩევის თაყვანისმცემელთა რიგებს ვეკუთვნოდი. „ხრუშჩევისტისაც“ მეძახდენ. მე ფრიად შთაგონებული გახლდით მისი გამოსვლით XX ყრილობაზე, მომწონდა მისი ადამიანურობა. ვცდილობდა ცველაფერი მეპატიუბინა მისთვის. მართალია, ზოგჯერ ხდებოდა ისეთი უცაურობანი, რომ პირდაპირ გავაშეშებდა კაცს. უცრად ერთ მიტინგზე ამბობს: „მარქსის იდეები რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ზემოდან რომ ღორის ქონი წავუსვათ, უკეთესი იქნება.“ მე თავში არაფრით არ მომდიოდა, რომ მარქსის იდეები ღორის ქონით შეიძლება გაიპოხოს...

* * *

სამოცდაორი წლის დეკემბერში მე მივიღე მოსაწვევი ბარათი მიღებათა სახლში. აი, სად გავიცნობიერე პირველად ხრუშჩევის პიროვნება.

თავიდან იგი იქცეოდა ისე, როგორც დიდი საწარმოს კეთილი, სტუმართმოფარე მასპინძლი: ინებეთ – გავიძასპინძლდებით, მიირთვით, დალიეთ. დავსხედით და ცველამ ვი ჰურმარილეთ წენარად და პატიოსნად.

თანაც რა გულთბილად საუბრობდა – თვითონაც მრგვალი, კონტად პირგაპარის ული. პირველი რეპლიკებიც სასიკეთო იყო.

მაგრამ მერე თანამდინარებით იგზნებოდა, შმაგდებოდა და თავიდან ერნსტ ნეიზესტნის დააცხრა. დიდი გასაჭირი აღდა. მე გამაკირვა იმ თვითდა-ჯერებულობამ, რომლითაც იგი საუბრობდა ხელოვნებაზე, ისე, რომ ინჩიბინი არ გაეცებოდა მასში. თან იმასც რომ ცდილობდა, განუმარტა, რა არის შმვენიერი და რა – არამშვენიერი; რა არის გასაგება ხალხისათვის და რა – გაუგებარი; რომელი მხატვრები იღლტვას „კომუნიზმისაკენ“ და რომელი მხატვრები არ ეხმარებიან „კომუნიზმს“. და რა ცუდია ერნსტ ნეიზესტნი. დიდხანს ეძებდა შედარებას, რათა რაც შეიძლება მარტივდ აქსინა, თუ კი არის ერნსტ ნეიზესტნი. ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო და ძალიან გაუხარდა: „თქვენი ხელოვნება აი რასა ჰგავს: მაგალითად ადამიანი რომ შევიდეს საპირფარე მოში, ჩაჯდეს საპირფარე მოს ორმოში და იქმდან, იმ ორმოდან იყრენებოდეს ზემოთ და ამ დროს იმ ორმოს თავზე ვინმე დაჯდეს. ის ორმოში მყოფი კი სხეულის სათანადო ნაწილს ეცქენს ქვემოდან. აი, როგორ იყრენებით თქვენ, ამხანაგო ნეიზესტნი, აი, რა არის თქვენი ხელოვნება. ეს არის თქვენი პოზიცია, თქვენ ორმოში ზიხართ!“

და მის სიტყვებს ერთვოდა შემოქმედებითი ინტელიგენციის შედარებით ასაკოვანი წარმომადგენლების საერთო სიცილ-ხარხარი და მოწონების შეძახილები.

ის კი აგრძელებდა: „თანაც ეს რანაირი გვარია ნეიზესტნი? საიდან

აიღეთ ფსევდონიმი – უცნობად გინდათ დარჩეთ?* ჩვენ კი გვინდა, რომ
თქვენს შესახებ ყველაფური ვიცოდეთ!“

ნეიზვესტნი პასუხობს:

– „ნეიზვესტნი“ ჩემი გვარია...

მას ეუბნებიან:

– აბა, ეს რანაირი გვარია „ნეიზვესტნი“?

და ასეთ რეპლიკებში, ზოგჯერ გამოიწვევ ხასიათის შემსუბებებში გავიდა
ორი თუ სამი საათი. ყველა დაიღალუ. ვხდეავთ, რომ არავისი გამოისვლა – არც
ვტეშენენის, არც ურებისურენის, არც შეიძახოვის – თან, ძალიან კარგი გამოსვლე-
ბი, არავთარ მთაბეჭდილებებს არ ახდენო – კადელზე ცერცის შეკრა და
მეტი არაური. თავისი სახი აქვს აღმული და მაჰვება იმს.

ბოლოს გამოვიდა დასკვნითი სიტყვით. ამ სიტყვიდან რამდენიმე
ფრაზა დამამახსოვრდა.

დაიწყო ისევ შშვილად. აი, ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, მოგისმინეთ, ვისაუბრეთ.
მაგრამ ვინ უნდა გადაწყვიტოს? ჩვენს ქვეყნაში ვინ უნდა გადაწყვიტოს?
ნალბი კა ვინ არის? ეს არის პარტია. პარტია ვინ არის? პარტია ჩვენ
ვართ. ესე იგი, ჩვენ უნდა გადაწყვიტოთ – მე უნდა გადაწყვიტო. ვასაგება?

– ვასაგება.

– ახლა სხვანაირად აგიბესნით. ხდება ხოლმე: შეკამაოდებიან პოლკ-
ოვნიერი და გენერალი და პოლკოვნიკი ისე დამსჯერებლად ამტკიცებს რაღა-
ცას, რომ პირდაპირ, ძალას... ვენერალი უსმენს, უსმენს და თითქოს უარის
სათქმელი არაური აქვს. მაგრამ ბოლოს მთაბეჭრებს თავს პოლკოვნიკი,
ესეც ადგება და მახსოვის: „იცი რას გატყვი – შენ პოლკოვნიკი ხარ და მე
– გენერალი. აბა, ნახვარბრუნით მარჯვნისაა-კუნ, ნაბიჯით იარ! პოლკოვნი-
კიც მიტრიალდება და წავა ბრძანების შესასრულებლად! ასე რომ, თქვენ
პოლკოვნიკები ხართ, მე კა, უკაცრავად არ ვიყო, გენერალი. ასე რომ, აბა
ნახვარბრუნით მარჯვნისაა-კუნ, ნაბიჯით იარ!

აი, ასეთი იყო დასრული.

ხრუშჩოვი და საქართველო

დევი სტურუს ნანაწერებიდან ხრუშჩოვის შესახებ:
„გაბასას დღის“

გამ. „თბილისი“ 9.08.1991 წ.

ხშირად მეკითხებიან, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს მტკიცება,
რომ თითქოს, ხრუშჩოვს ქართველების აყრა და შეუა აზიაში გადასახლე-
ბა უნდოდა? ამ საკითხზე ვადასტურებ შემდეგს:

* „ნეიზვესტნი“ – რუს. „უცნობი“.

1962 წლის ზაფხულის ურთ დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის გასილ მუკანაძის კაბინეტში დაყყოვნდა. საღამოს რვა საათი იწნებოდა, რომ აწყარუნდა ტელეფონის აპარტი „ვჩ“. მუკანაძემ ფურმილი აიღო. რამდენიმე წამის შემდეგ ის გაფირდა, მანიშნა, მომახლოვდიო და ფურმილი ისე შეატრიალა, რომ მეც გამევო, რას ელაპარაკებოდნენ. იმწამსვე ვიცანი ხრუშჩოვის ხმა (ის იმ დროს ბიჭვინთაში ისკუნებდა.)

— თურქებთან შეერთება მოიხდომეთ? — ღრიალებდა ხრუშჩოვი.

მე ჩავჩრდილე მუკანაძეს, ეთქა ხრუშჩოვისათვის, რომ ქართველებს ისტორიულად არ შეეძლოთ პეტონიათ რაიმე განსაკუთრებული სიმპათიები თურქების მიმართ, კინაიდან თურქებმა ძალით დაისაკუთრეს საქართველოს თითქმის ურთი მესამედი, რომ ისინი ულეტლნენ ქართველებს და ა. შ. მუკანაძემ ეს ყველაფერი უთხრა ხრუშჩოვს, მაგრამ ამაռდ...

— „ვაგონი პოდარი, ვისელიმ ვას ვსეხ კ ჩერტოვი მატერი!“* — დაიღრიალა ხრუშჩოვმა და ფურმილი დააგდო.

საქმე შემდეგში იყო. თურმე, ხრუშჩოვს, რომელიც ბიჭვინთაში ისკუნებდა, აჩვენეს მის სახელზე დაწერილი ვილაც კორველი იუნის წერილი. ეს იუნი, თითქოსდა, მკურნალობდა წყალტუბოში. პოდა ეს „მითიური“ იუნი ატყობინებდა ხრუშჩოვს, რომ ქართველებთან საუბრისას მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მათ აქვთ სურვილი შეუკრითდნენ თურქებს და სხვა ამგვარი აბდაუბდა. იუნს „მითიური“ კუწოდე იმის გამო, რომ ასეთი ავადმყოფი თუ დამსვენებელი წყალტუბოში არ აღმოჩნდა, იმისდა მიუხედავად, რომ გენერალ-პოლკოვნიკ ინაურის უწყბამ საგულდაგულიდ „გაცხრილა“ საქართველოს ეს სამკურნალო კურორტი. ეს წერილი საკმაოდ უხეში და მარტივი პროცესია იყო, მაგრამ რატომ პეტონდა ამის გამო ასეთი მძაფრი რეაქცია ხრუშჩოვს? და საერთოდ ასეთ რამების თანაშემწებები და რეფურნენტები, როგორც წესი, თავიანთ უფროსებს არც აჩვენებდნენ. ამ შემთხვევაში კი, უეჭველია, ვიღაცამ ბორიტი განზრახვით დაუდო წინ ხრუშჩოვს ეს მონაჭორი. ჩემი აზრით, ეს გააქვთა, ხრუშჩოვის თანაშემწებელები უემოციო და ღვარძლიანბა კაცმა, რომელსაც საქართველოში არაფერი მოსწონდა.

...მუკანაძემაც ფურმილი დადო და მომიბრუნდა.

— რა ვწნათ ახლა ჩვენ?

გეტივით გულახდილად, არც მუკანაძემ და არც მე არ დავიჯვერეთ ხრუშჩოვის მუკარის რეალობა.

და მაინც ამ გამოხდომის აქტიური პროტესტის გარეშე დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. მოკლე მოსაუბრების შემდეგ

* გაგონებს მოგაყენებთ და ჯანდაბაში გადაგასახლებთ. — რუს. (რედ. შენიშვნა)

ჩვენ გადავწყვიტეთ ბიჭვინთაში გაფრენა. მუკავანაძე დაუკავშირდა სამოქალაქო ავიაციის სამსახურის უფროსს და დაავალა მოემზადებინა სპეციალური სამთავრობო „იაკ-40“.

ვეჭობთ იმის თაობაზე, როგორ ამოვუკლოთ თავიდან ხრუშჩივს ეს სისულელე, როგორ დავუმტებიცოთ მას, რომ ქართველებს თურქეთთან შეერთების არანაირი სურვილი არ გააჩნიათ. შევთანხმდით, მიგვეცა ხრუშჩივისათვის ზეპირი ისტორიული ცნობა საქართველო – თურქეთის ურთიერთობათა შესახებ, მტკიცედ გვეთქვა ხრუშჩივისათვის, რომ იუნის წერილი სრულდად გაუგებარი და პროვოკაციაა.

ამ დროს ისევ აწერიალდა „ვჩ“ – კვლავ ხრუშჩივია. მუკავანაძემ ამჯერადაც მანიშნა და ერთობლივი მოსმენის „ტაქტიკა“ განმეორდა. ხრუშჩივს ვეღარ იცნობდით. მან ბოლიში მოუხადა მუკავანაძეს, თქვა, რომ ოდნავ (!) გაცხარდა, რომ იუნის წერილი „კიდევნორი იაკუ ნე სტოიტ“* და სხვა ამგვარი რამ. შემდეგ ხრუშჩივმა მიიწვა მუკავანაძე ბიჭვინთაში. სხვათა შორის იმ იუნის წერილი მაინც გადმოუგზავნეს მუკავანაძეს და იგი ინახება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტარქივში.

მეორე ღღეს დილაადრიან ბიჭვინთაში გავფრინდით მუკავანაძე, ინაური, საქ. კპ ცკ-ის საერთო განყოფილების გამგე ალექსანდრე მანელაშვილი, მუკავანაძის პირადი დაცვის უფროსი დავით ჩიბურდანიძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ხრუშჩივი შმვენიერ გუნებაზე გახლდათ. ენამზეობდა, ოხუნჯობდა. იუნის ნაჯდაბნებ სიტყვაც არ დაუძრავს, მით უმტეს, ქართველების გადასახლებაზე. ჩვენც, რა თქმა უნდა, ამ „თემას“ არანაირად არ შევხებივართ.

სადილის წინ ხრუშჩივი და მუკავანაძე ცურაობდნენ ბიჭვინთის განთქმულ აუზში. ეს აუზი გარდა სხვა ღირსშესანიშნაობებისა, გამიარჩეოდა იმით, რომ კარგ ამინდში ღილაკზე ხელის დაჭერით ზღვის მხარეს ისხსნებოდა კედელი და იქმნებოდა იღუზია, რომ ცურავ ღია ზღვაში (უნდა გამოვუტყვდე მკითხველს, რომ მეც ორჯერ-სამჯერ მომიხდა ამ აუზში ცურაობა.)

ასე რომ, ხრუშჩივი და მუკავანაძე კორპის მაშველი რგოლებით დაცურავენ ბიჭვინთის განთქმულ აუზში და რაღაცაზე შმვიდად საუბრობენ, ფოველ შემთხვევაში არა იუნის „შემოქმედებაზე“. აუზთან წელის მსუბუქ სკამებზე სხედან ხრუშჩივის პირადი მცველი ლიტოვჩინკო, თანაშემწელებელევვი, ინაური, მანელაშვილი, ჩიბურდანიძე და ამ სტრიქონების ავტორი. ჩვენი საუბარიც შმვიდად მიედინება, მაგრამ გარკვეული სიფრთხილ-

* იდიომატური ფრაზა „სათქმელადაც არ ღირს“ მნიშვნელობით. (რედ. შენიშვნა)

დღის სამი საათი სრულდებოდა, როცა მოირბინა სახელმწიფო უმიშროების კომიტეტის მეცნერე სამართველოს (პოლიტბიუროს მაშინ-დელი დაცვის სამართველო) უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ზახ-აროვმა და ხრუშჩოვს უთხრა:

— ნიკიტა სერგეევიჩ! მორის ტორეზი მეუღლითურთ თავისი რეზ-იდენციანი გამოვიდნენ და აქეთ მოემართებიან.

ეს რეზიდენცია კი აუზიდან 500-600 მეტრითა დამორჩეული. მეავანაძე სასწრაფოდ ამოვიდა აუზიდან და გასახდელში მიიმაღა. ხრუშჩოვი კი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, დაცურავს თავისი კორპის რეოლით, თითქოსდა ზახაროვის სიტყვები არც გაეკონის.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდნენ მორის ტორეზი და მისი მეუღლე ფრანგი კომუნისტების ხელმძღვანელი გამოწყობილია და ფერის კოსტუმში, მის მეუღლესაც ელგუანტური საზაფხულო კაბა აცვა.

შეწუხებული ზახაროვი ეუბნება ხრუშჩოვს:

— ნიკიტა სერგეევიჩ, ტორეზი და მისი მეუღლე უკვე აქ არიან.

როგორც იქნა, ხრუშჩოვმა ინება წყლიდან ამოსვლა. მას ეცვა სატინის შევი ტრუსები, მუხლაძე რომ წყლებოდა. ასეთებს ჩვენმი „ფოხნებს“ ეძახან. ხრულიად სკელი, ისე რომ კორპის რეოლი არ მოუხსნა, ხრუშჩოვი დაიძრა მორის ტორეზის და მისი მეუღლის მიმართულებით. სკელმა ტრუსებმა გამოკვეთა ხრუშჩოვის ქვედატანი. ერთი სიტყვით, სურათი სრულიად არაორდინარული იყო. რომ იტყვიან, სასაცილო იქნებოდა, სატინალი რომ არ ყოფილიყო. რა გაეწყობოდა! უხერხული გრინბითა და სირცხვილის დამდალავი შეგრძნებით გავვევით სკელ ხრუშჩოვს.

როცა კოხტად მორთულებმა მორის ტორეზმა და მისმა მეუღლემ სკელი, შავი სატინის ტრუსების ამარა ხრუშჩოვი დაინახეს, თანაც კორპის რეოლით შემოსალტული, შეცბნენ, ალბათ, თვალებს არ დაუჯერეს. მაგრამ, როცა ამ კოლორიტულმა „ზმანებაშ“ მათ თავისი ხელი გაუწოდა, მიხვდნენ, რომ ეს ზმანება კი არა, სავსებით რეალური ხრუშჩოვი იყო.

ხრუშჩოვმა ოთხი ნაჭრის შეზღონვი მოატანინა, ლიტოგრაფიული დახმარებით, როგორც იქნა, მოიცილა ეს კორპის რეოლი და, მორის ტორეზი, მისი მეუღლე, ხრუშჩოვი და მეავანაძე (ჩაცმული) შეზღონებში ჩაეშვნენ.

ჩემთქ ამ სურათმა უმძიმესი შეიძლება დატოვა, ასევე მეავანაძეზე და ინაურზეც. რაც შეეხება ხრუშჩოვის გუნდს, მათ ეს ეპიზოდი საქმაოდ შევიდად მიიღეს — ჩანდა უარესიც ჰქონდათ ნანახი.

ამით, როგორც იტყვიან, ინციდენტი ამოიწურა. მეორე დღეს თბილისში გამოვიდნდით, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ უელდეკავშირით მივიღეთ „მითიური“ იუნის ხელით შეთითხნილი „ბრალდება“ ქართველი ხალხის მიმართ. წერილი კონტროლზე იყო აყვანილი და მე მომიხდა

ჰასუხის გაცემა ამ ანტიქართულ ბოდვაზე.

საინტერესოა, რომ ეს „ვაგონი პოდადიმ!“ ერთხელაც განშეორდა. როგორლაც თბილისში ჩამოვიდა განთქმული ამერიკელი მუსიკის ბენი გუდენის ჯაზ-ორკესტრი. პირველ განყოფილებაში სტუმრებმა შეასრულეს ცნობილი „პოლიუშო-პოლე“ და არანაკლებად ცნობილი „ქატრიუმა“. პირველი სიმღერა ორკესტრმა ოსტატურად შეასრულა და ერთსელოვანი ტაშიც დაიმსახურა. „ქატრიუმა“ კი შეასრულა ნაკლებად ნიჭიერმა მომღერალმა ქალმა, ის, თითქოს, განგებ ამახინჯებდა სიტყვებს, თავი უხამსად ეჭირა და მას უსტვინეს.

ვიღაც ნაძირალამ მისწერა ხრუმჩოს, თბილისში უსტვინეს ამერიკელ შახიობს მხოლოდ იმისათვის, რომ მან რუსული სიმღერა შეასრულაო. ეს წმინდა წყლის სიცრუე და ცილისწამება იყო. პირველი რუსული სიმღერა ხომ ერთსელოვანი ტაშით მიიღეს. მეორე შემთხვევაში უსტვინეს არა სიმღერას, არამედ მის უხამს შემსრულებელს.

ერთი სიტყვით, ხრუმჩოვმა ისევ დაურეცა მუვანაძეს. ამჯერად, მაღლობა ღმერთს, მე მის კაბინეტში არ ვიყავი (მან მიამბო ამის შესახებ) აყვირდა და კვლავ „წამოსცდა“ ეს „ვაგონი პოდადიმ!“ მაგრამ საქმე იყო, რომ თვით ხრუმჩოვის ვაგონი უკვე გამწესებული იყო ისტორიის ჩიხში სამუდამი დგომისათვის...

ალექსანდრე ქლერდაშვილის წერილიდან:

„6. ხრუმჩოვის მოგზაურობა გარე პახ ეთში“

„ასავალ-დასავალი“ 2. 04. 92 წ.

... როცა ნიკიტა ხრუმჩოი საგარევოში ჩამოვიდა, შურისძიების ჭია ღრულიდა საგარევოლელებს, მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, რომ შურისძიების ღრი ჯერ არ დამდგარიყო. მაშ რამ მოიყანა აძღენი ხალხი, შეშმათუ ცნობისმოყვარეობამ? ალბათ სეირის ჭურების ფინმა, ან შეიძლება ზიზძმაც. მაგრამ არ შეცდები, თუ ვიტყვი, რომ უმრავლესობა მაინც ცნობისმოყვარეობამ გამოიყანა. სულიერად გამოფიტულ დაბენავებულ ადამიანებს ცნობისმოყვარეობის წადილიც უბიძგებდა. ახლა ქუსაში თუნდაც დათვი, აქლები ან სპილო რომ გამოეტარებინათ, ეს ხალხი მაინც გამოვიდოდა სეირის საფურებლად.

რაიცენტრის მოედანი საპატიო კორტეჟმა ნელი სვლით გადაკვეთა. ქუჩის ორივე მხარეს თოვე იყო გამული, რათა გზის სავალი ნაწილი არ დაეკავებინა ხალხს.

ნიკიტა ხრუმჩოვი მანქანის უკანა სავარტელზე იყო მისვენებული და ხელს უქნედა ხალხს. როტესაც მანქანა მოვნის ყველაზე ვიწრო

ადგილს მიუახლოვდა, აქ მოხდა მოსახდენი. ხალხის ტალღა გაარღვია კილაცამ და ნიკიტა ხრუშჩინის მანქანას მიაწყედა მიჯრით. ხალხი შეჩრილდა. მანქანაც გაჩერდა და ხალხმა ყოველი მხრიდან იწყო სკლა შემთხვევის ადგილისაკენ.

გაფიტორებული ნიკიტა ხრუშჩინი სავარძლის საზურგეს გადაეცრდნო და სახოწერკვეთილი ხელებს ასავსავებდა. „თავდამსხმელი“ კი ჯიქურ მანქანაში შეძრომას ლამობდა. ხრუშჩინი წარმოიდგინა, რომ მისი აღსასრული დადგა. იგი ხელების მიშეელიებით ერთსა და იგივეს იმეორებდა: — ნე ნადო, ნე ნადო... — ისმოდა მონოტონურად ნიკიტას ხმა.

მალე „ტელოხრანიტელები“ მოცკივდნენ და ხელში შერჩათ სოფელ მანავში ძცხოვრები, სომხეთიდან გაღმოხვეწილი ვაგრამ სარქისამი, რომელმაც საჩივარი გადასცა რაიონის ხელმძღვანელობაზე ნიკიტა ხრუშჩინს.

„ინციდენტი“ მშენდობანად დამთავრდა და მანქანის კორტეჟი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა ბადიაურის მიმართულებით.

ბადიაურის ღვინის ქარხანაში დანიშნული იყო თათბირი, სადაც თავი მოყვარა, როგორც საგარეჯოს რაიონის, ისე მეზობელი რაიონების წარმომადგენლებსაც.


ნაშავლებს თათბირი გაიმართა. ნიკიტა ხრუშჩინმა კლუბში შესვლისთანავე დაიწყო:

— საქართველო მართლაც ლამაზი ქვეყანა ყოფილა. მე კარგა ხანია აქ აღარ ყოფილებარ. 1921 წლის შემდეგ, როცა აქ წითელი არმიის შემადგენლობაში ვიბრძოდი საქართველოს გასათავისუფლებლად, ვასილ პავლოვიჩი ყოველთვის მეტატიუებოდა, მაგრამ მიუხდავად ამისა, საყველური უნდა გითხრათ. სტალინისა არ იყოს, კველა ქართველს ბევრი ნაკლი გაქვთ...

სიტყვა აღარ დაამთავრებინება, დარბაზს აღშფოთების ტალღამ გადაურა, ატყვა ხმაური. მიხვდა ხრუშჩინი, რომ დაუკრუუაში გადავიდა და მდგომარეობის გამოსწორება სცადა.

— არა, მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ სტალინი ცუდი ხელმძღვანელი იყო, იგი დიდი მარქსისტ-ლენინელი იყო და ნეტა ყველა მას ვვავდეთ, მაგრამ მასაც ხომ პქონდა ბევრი ნაკლი, აი თქვენც დიდი ნაკლი გაქვთ. ვენახებს ვაკე აღგილებში აშენებთ, მე ვირჩევთ ვენახები ამოირკვით ვაკე აღგილებში და იქ სიმინდი დათესოთ, ხოლო ამ ვორაკებზე რომ ტყე არის, ის გაკაფოთ და იქ ვენახები გაშენოთ. ოქვენი ხსნისა და სიმდიდრის წყარო მიერიდან სიმინდი უნდა გახდეს. სიმინდი აუცილებლად კვადრატულ-ბუდობრივი მეთოდით უნდა დათესოთ. ამით გაცილებით დიდ მოსავალს მიღებთ, ვიდრე არქაული, მამა-პაპეული მეთოდით.

თათბირს ბევრი მოწინავე მესიმინდე ესწრებოდა, მათ შორის იყო გიორგიშვილი გეგენა (ვანო) ჭიაბერაშვილი, რომელიც ნერვულო-



ბისაგან სკამზე ვეღარ ისკენებდა.

— რეგბს არახუნებს, რო არახუნებს, ეგ ჯოჯო, მაშ მაგან უნდა
მასწავლოს „საჩერქეზოში“ როგორი სიმინდი მომყავს, რად შინდა მაგის
ლაი-ლაის რომ ვისმენ აქ, მაგან უნდა მასწავლოს ჭკვა?..

გეგნამ და მისმა თანამოსაქმებმა კარგად იცოდნენ, რომ ჩვენი
სოფლის მეურნეობის ჩავარდნის მიზეზი თვითონ საბჭოთა სოციალურ-
პოლიტიკური სისტემა იყო, სწორედ ნიკიტას და მისი მიმდევრების
სუბიექტივისტურმა და ვოლუნტარისტულმა მოქმედებამ დაღუპა ქვეყანა
და შიმშილის ზღვარზე მიიყვანა შრომელი ხალხი.

ნიკიტას სენტრულიების შეძლევ სიტყვა აიღო გურჯაანის რაიონის
ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარებ ვალიკო უტრაშვილმა. მასაც
და კახეთის ზონის კოლმეურნეობების თავმჯდომარებს ჯიბები სიმინ-
დის ტაროებით ჰქონდათ სავსე. უტრაშვილმა სამი სიმინდის ტარო
ამოიღო ჯიბიდან და საჯაროდ მოახდინა მათი დემონსტრირება.

— აი, ხომ ხედავთ ამ ტაროს, — და ხელში ყველაზე პატარა ტარო
აათამაშა. — თუ სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივად დავთესავთ, ჰექტარზე
მივიღებთ 40 ათას ბუდეს. თუ თითო ბუდიდან, აი ასეთ ტაროს მივიღებთ,
ჰექტარზე გამოვა 30 ცენტნერი მარცვლად, თუ ასეთ ტაროს მივიღებთ
და ხალხს დაანახვა საშუალო ტარო, მაშინ 40 ცენტნერ მარცვალს
მივიღებთ, ხოლო თუ ასეთ ტაროს მივიღებთ და ხელში ყველაზე დიდი
ტარო აათამაშა, მაშინ 60 ცენტნერ მარცვალს მივიღებთ ჰექტარზე.

ვალიკო უტრაშვილის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა
ნიკიტაზე და ქებაც უხვად დაიმსახურა.

თათბირი გვიან საღამოს დამთავრდა. მოშიებული სტუმრები ვახშ-
მად საბანეტო დარბაზში წაიყვანეს.

ჯერ კიდევ წინა დღეებში, რაიკომის მდივანს თადარივი დაეჭირა.
საბანეტოდ შერჩეული იქნა სოფელ მანავში კოლმეურნეობის აგრონო-
მის, სამაულო ომის მონაწილის გიგა სიმონიშვილის ბინა.

ბადიაურიდან სტუმრები მანავის ღვინის ქარხანაში მიიყვანეს და
ქართული წესით ქვევრებში დაყენებული ღვინო გაასინჯეს სტუმრებს.

აქაც დიდძალმა ხალხმა მოიყრა თავი. ყველაფერი რაიკომის მდივ-
ნის სცენარის მიზედვით კუთდებოდა. ღვინის ქარხნიდან გამოსვლის დროს
ნიკიტა ხრუმწოვს წინ გამოუჭიმა როგორნებითა და მედლებით მკრწლდამშ-
ვნებული გიგა სიმონიშვილი და საუბარი გაუბა. საუბარში გიგას ხიდ-
ვდრი ტასო მახარობლიშვილიც ჩაეხა და გიგას უსაყველურა, რაღა გარეთ
სატბრობთ, სახლში შემოიპატიუ სტუმრებით. მიპატიუებაზე უარი არ
უთქვამს ნიკიტას და თავისი აძალით იქვე, ღვინის მარნის გვერდით მდგო-
მი სახლისაკენ გაუძლვა სტუმრებს მასპინძელი.

ზემო სართულზე გაიშალა სუფრა. ნიკიტა ხრუმწოვმა თავის თა-
ნაშემწეს გამოართვა საგარევოში ვაგრამ სარქისიანის მიერ გადაცემუ-

ლი წერილი და რაიკომის მდივანს გადასცა, თუ კანონიერად ჩივის, აუშეეთ სახლით. ამ დროს დიეტის პირადმა ექიმმა ნიკიტას „თერმოსით“ ბორშჩი და აღუბლის წვენი შემოუტანა, მაგრამ ნიკიტამ დაუტატანა და უკანვე წააღებინა დიეტური საჭმელი. კიდრე ექიმი შემობრუნდებოდა, ნიკიტამ ცალი თვალი შინახად ჭაჭის არაყს დაადგა და სახლის პატრონს გადაულაპარაკა:

— პოკა ეტოტ ღურაკ ცერნიოტისია, ნალეიტე ვაშუ ჩაჩუ* — თქვა და მასპინძელს ორას გრამიანი ჭიქა მიუშვირა. გალიპლი პებული ჭიქა სასწრაფოდ პირთან მიიტანა და პირდაპირ ყანერატოში გადაუძახა ცეცხლივით არაყი, შემდეგ ხელი გულზე ჩამოისვა და ცერა თითო აჩვენა მასპინძელს აღტაცების გამოსახატავად.

მთელი დღის მოშეიბული ნიკიტა გამგელებული ეცა ნუგბარ საჭმელებს. ერთმანეთს ცვლიდა ღორის მწვალი და ხამლამა, ჩაქაფული და შემწვარი ვარიები. ნიკიტა ხრუშჩოვი კარგად რომ დანაყრდა, ისევ სიმინდს მიუბრუნდა.

— რამდენ ცენტრერ სიმინდს იღებს თქვენი მეურნეობაო, — შეეკითხა მასპინძელს ნიკიტა.

— საშუალოდ ორმოც ცენტრერსო, — მოუგო მასპინძელმა.

— ეს ძალიან ცოტაა, ამ ვაკე ადგილას რომ ვენახი გაგიშენებიათ, ამოძირკვეთ, კარგი სიმინდი მოვა!

ეს ის ნაკვეთი იყო, სადაც თეიმურაზ Ⅱ-მ ზვარი გააშენა, შემდეგ თეკლე ბატონიშვილის მზითვევი იყო, ბოლოს კი სომეხმა ვაჭარმა ფრიდონოვანი ჩაიგდო ხელში გასული საუკუნის 70-ან წლებში, ზვარი და ვილა აშენა 54 ჰექტარზე. ეს ის ნაკვეთია, სადაც საქვეყნოდ ცნობილი „მნავის მწვანე“ მოჰყავთ. ბედის ირონიაც ეს არის — რუსთის იმპერატორმა აღექსანდრე Ⅲ-მ ეს აღგიღებიც მოინახულა 1889 წელს და მხოლოდ აღტაცება გამოიუთქვაშს ამ ზვარის ხილვით, საბჭოთა იმპერიის ჰერათმყოფელმა საჭეომყრობელმა კა ეს ნაკვეთი სასიმინდედ გაიმეტა.

ბანკეტზე შეზარხოშებულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ბევრი აცინა თავისი ციცლიბაზობითა და უქბილო ანეკდოტებით თანამეინახენი, ბოლოს, როცა საღამოს ბინდბუნდმა იმატა, უცბად წამოიწია ნიკიტამ და ამით დიდი ტრაპეზის დამთავრებასაც დაედო ზღვარი.

გარეთ დიდაბალმა „მნახველმა“ მოიყარა თავი. ყველას აინტერესებდა „რუსთხელმწიფის“ ნახვა, რომელ ხედაც არაერთი მოარული ანეკდოტი დადიოდა ხალხში.

რაც მოავრია, ეს ხალხი ნიკიტა ხრუშჩოვის ხსენებაზე „ფუ ეშაქს“ — დაყოლებდნენ და საჯარისოდ ციფ წყალს სვამდნენ „მაღანქურის სტაქით“.

* სანამ ეს სულელი დაბრუნდება, დამისხით თქვენი ჭაჭა — რუს. (რუდ. შენიშვნა)

ფრაგმენტები ფარნაოშ დუღაშვილის წერილიდან:
 „შეხვედრები დიდ რეზორმატორითან“* 1956 წელი
 „სკოპიონისა კრუზის“ I. IV. 91f.

... 1956 წლის 9 მარტს დახვრეტილი ქართველი ახალგაზრდობის სისხლი ხრუშჩოვს აცხად ლაქად. პირველად მან მისცა ბრძანება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს გენერალ ფედიუნინ-სკის – ესროლათ მშეიძლობანი დემონსტრანტებისათვის, რაც უედიუნინ-სკის მიერ განსაკუთრებული გულმოდვინებით იქნა შესრულებული.

ამ ბარბაროსული აქტის შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვს ეყო სინდისი ჩამოსულიყო თბილისში 1961 წელს, საქართველოს გასაბჭოების მე-40 წლისთავზე. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ იგი გურჯაანის რაიონში ჩამოეყვანათ სტუმრად.

ხუთი ვაკონისაგან შემდგარი მატარებელი, რომლითაც ხრუშჩოვი მგზავრობდა, მელანინის სადგურზე გაჩერდა დამის სამ საათზე. მე, როგორც გურჯაანის რაიონის პირველ მდივანს, მიბრძანეს მატარებელთან გამოცხადებულიყვავი დილის რვა საათზე... ვაგონიდან გადმოვიდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ხოლო ათი წუთის შემდეგ გამოსწენდა უზარმაზარი ამაღლით გარემოცული ნ. ს. ხრუშჩოვი. მაშინდელმა საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეავნაძემ ჩემი თავი წარუდვინა. მე გავინაბეჭ, იმის ფიქრში: რომ ა ახლა ჩამომართმევს ხელს ქვეყნის პირველი კაცი და მეითხავს – აბა, როგორ არის ახალგაზრდავ საქმეები რაიონში და ა. შ. მაგრამ, გაიგონა რა ჩემი გვარი – ღუღაშვილი, ჯუღაშვილის თანაბმიერი – წარბეჭი შეიკრა, ზიზლით შემოშედა და ყოველგვარი საღმის გარეშე მანქანისაკენ დაიძრა. მე დავიბეჭი ვ. პ. მუვანაძემ, როდესაც ჩემი დადარღიანებული სახე იხილა, გამამხნევა, მიბრძანა მანქანაში ჩავტკლარიყავი და უკინ მივყოლოდი. რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ და გრემის მონასტრის ძირას შევჩერდით. ჩვენს წინ გადაიშალა აღაზნის ველის დიდებული პანორამა.

მასპინძლები გარს შემოერტყნენ საპატიო სტუმარს და უფეხბოდნენ. რომ ეს რეგიონი სამრეწველო მეცნიერებისა და მეცნიერების ცენტრი მსხვილი ცენტრია, სადაც მზადდება მსოფლიოში ცნობილი სამარქო ღვინოები და ქონიაკები. ხრუშჩოვი ნახევრად თვალდახუჭული უხმოდ უსმენდა მოხრობელს.

* მასალა თარგმნილია რუსული განვითარება წერილის ორიგინალის (რომელიც, საგარსაულოა, ქართველ ენაზე იქნებოდა შესრულებული) ჩვენს ხელთ არარსებობის გამო. ამდენად, სიტყვიერი ქსოვილის ფერად შესაძლო ხარვეზი სარედაქციოა და არა ავტორის სუული. (რედ.)

მოულოდნელად საუბრები შეწყდა. სიჩუმე დაარღვია ხრუშჩინევა, რომელმაც ერთი ფრაზა ისროლა: „აქ სიძინდიც კარგად იხარებს“ და თავისი მანქანისაკენ გაეშურა. ჩვენ უხერხულად შევაცერდით ერთმა- ნეთს. ვცდილობდით გავეერკვია, რას უნდა ნიშნავდეს ამოძენა ქვეყნის ხელმძღვანელის ნათქვაში ფრაზა? ნუთუ იგი ვენახის ამოძირებას გულისხ- მობდა უნიკალურ ნიადაგოვან-კლიმატურ რეგიონში ერთიანი მესიძინდ- ეობის სასარგებლოდ?

იმ წეთას მე გულწრფელად შემცოდა მოელი საბჭოთა ხალხი, რომელიც იღვწოდა იმ კაცის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელსაც საღი განსჯის უნარი დაკარგოდა...

... ხრუშჩინის ყოფის ვადა გურჯაანის რაიონში იწურებოდა, წინა- დღეს სასტუმროში დაისვენა და საღამოს თავისივე მატარებლით გაემგ- ზავრა თბილისს. მაგრამ ჩემი შეხვედრები ხრუშჩინვთან ქართულ მიწაზე ამით არ დამთავრებულა.

სულ მაღალ გადაწყვიტეს თბილისში მოწვათ ამიერკავკასიის რე- სპეციალისტის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. ელოდნენ ხრუშჩინის სტუმრობას. ამჯერად მას შეხვდნენ მცხეთის რკინიგზის სადგურში. აქედან ავტომობილების კორტეჯი დაიძრა თბილისისაკენ საქართველოს სამხედრო გზით. თბილისის შემთხვევლითან ხრუშჩი- ნის ფურადღება მით პყრო დიდმა მშენებლობამ მტკვრის გაყოლებაზე და რესპექტოდის ხელმძღვანელებს პეიოზა: „აქ რას აშენებთ?“ მას უპასუხ- ეს, რომ თბილისი განლაგებულია ტერასებზე და იმისათვის, რათა ქალაქი განტვირთონ საბარეო და მსუბუქი მანქანების დიდი ნაკადისაგან, აშენებენ სანაპიროს.

მოულოდნელად ხრუშჩინმა უწმაწურად შეიგინა და თქვა:

— მე ნასერისათვის (კვიპტის მაშინდელი ლიდერი) ვერ გამიგზა- ვნია ცემენტი და აქ კი სანაპიროების შენებლობა დაუწყიათ...

მას გასაგებად აუხსნეს, რომ ეს ჩვენი ფონდით კუთვნილი ცემენტია, არავის ვართმევთ და ქალაქისათვის საჭირო ობიექტს ვაშენებთ.

რაღაც საუბარი ჩამოვარდა ნასერის შესახებ, აქვე მინდა ვთქვა: ხრუშჩინის თანამშრამულნი თითქოს ნახევრადხემრობით იმასაც იხ- სენებენ, თუ ხალხისთვის საყვარელმა ნიკიტა სერგეევიჩმა როგორ მიანი- ჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ჰამალ აბდელ ნასერს. საკითხავია, რა დამსახურებისთვის? იქნებ იმისათვის, რომ ნახევრად შშიერმა საბჭო- თა კავშირმა თითქმის მუქთად აუშენა ასუანის ჰილოკომპლექსი?..

ან, კიდევ... ხრუშჩინის მომხრეები ცდილობენ, იგი წარმოაჩინონ, როგორც სოფლის მეურნეობის დიდი მცოდნე და მოჭირნახულე. მაგრამ, ხომ ცნობილია, რომ ეს დარგი სწორედ დიდმა რეფორმატორმა მიიყვანა სრულ კატასტროფამდე. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რა ბედი

ეწია ლარიონოვს, რომელმაც ხრუშჩიოვის დავალებით ერთ წელიწადში
შეასრულა სამწლიანი გეგმა მეცხოველეობაში და მოელი ლექის მოსახ-
ლეობა მშეირი დატოვა. ეს აბსურდული გეგმა ხრუშჩიოვს სურდა მოელი
ქავენის მასშტაბით დაუნერგა, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ ავანტიურას ბევრ-
ნი არ აჰყვნენ. რუსმა მეცნიერმა ნიადაგმცოდნებმა და აგრონომებმა, ვინც
ციმბირის ბუნებრივ პირობებს იკვლევდა, ამ მხარეს დიდი მომავალი
უწინასწარმეტყველეს. ოღონდ იქაური პირობების გათვალისწინებით, ამ
მიწების ათვისების ვადას 25-30 წლით გასაზღვრავდნენ. ხრუშჩიოვს კი
არ ჰყოფნიდა მოთმინება და ერთი „ურა“-თი გაირეკა წინ ხალხი –
ყოველგვარი მომზადებისა და სამეცნიერო უზრუნველყოფის გარეშე, ისე,
რომ არ უზრუნვია არც სათანადო მომარავებაზე, არც გზებზე, არც
საცხოვრებელზე, არც ჭირნახულის დაბინავებაზე, არც მოკლე სავეგეტა-
ციო პერიოდის ხორმლის ჯიშებზე, არც მინდვრის საცავ ტყის ზოლე-
ბზე...

და რა გამოვიდა? ქვეყანამ სამემკვიდრეოდ მიიღო უდიდესი ფინან-
სურ-მატერიალური დანაკარგები... ხრუშჩიოვის ხელმძღვანელობის სტილი
თვითნებობისა და ვოლუნტარიზმის ქლასიკური მაგალითი გახდათ.

ლეონიდ ილიჩი



თური ბორვეის ნარკევიძის:
„სტალინი თანამედროვეთა გადმოცემაზე“
 „ენიუნიუ ობოშრენიუ“ № 3. 20. I. 1989 წ.

დიდ თეატრში მთავრდებოდა მოხსენება, მიძღვნილი იქტომბრის რეკოლეციის 33-ე წლისთავისადმი. დარბაზი ფეხზე ამდგარი მღეროდა „ინტერნაციონალს“. სტალინმა საფეხქელთან მიიტანა ხელი, თუმცა თავზე ჭუდი არ ეხურა. პოსკორებიშვება დანანებით წაიჩირჩულა: „დაგვიძერდა ბელადი“. სტალინს მახვილი სმენა ჰქონდა და გაივრ ეს სიტყვები.

საზემო სხდომის შემდეგ ჩატარდა კონცერტი. მას სტალინი ეს-წრებოდა. სრულდებოდა ხალხური სიმღერები და ცეკვები. ერთ-ერთი უკანასკნელი ნომერი იყო მოლდავეთის ცეკვის კოლექტივის გამოსვლა. მათი ცეკცლოვანი და ხალისანი ცეკვის დიდ ოვაციებს იწვედა. სტალინი პოსკორებიშვეთან ერთად გამოვიდა მთავრობის ლოფიდან. საპირისპირო მხრიდან მოაბიჯებდა გაფანტულ მსხვილწარმებიანი კაცი. სტალინმა უთხრა:

— კარგები იყვნენ შენი მოლდაველები!

კაცმა უხერხულად გაიღია, ხოლო პოსკორებიშვება შენიშნა:

— ამხანაგო სტალინ, ეს ბრეზნევია. იგი დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანია.

— ეჭ, დაბერდი პოსკორებიშვე. ჩამორჩები ცხოვრებას.

კონცერტის შემდეგ სტალინი შევიდა თავის კაბინეტში და დაწურა განკარგულება ბრეზნევის მოლდავეთის ქპ ცკ-ის პირველ მდივანდ დანიშვნის შესახებ.



ფერლოზ ბურლაციის წერილიდან:
„ბრეზნევი და „დათბობის“ მსხვილება“.

„ლიტერატურნაი კაზეტა“ 14. IX, 1988 წ.

როგორ მოხდა, რომ ჩვენი სამშობლოსა და მსოფლიო ისტორიის
ჰასუხად პრემიერ მინისტრმა შენიშნა, კომუნისტებისათვის ყველაზე მომგებიანი ოპოზიციაში ყოფნაა. — ჩემთვის, — თქვა ჩერნომირდინმა. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რა ფერისაა მინისტრი — წითელი თუ ღურული, იმიტომ, რომ ის, პრემიერი მაინც ისე გააქეთებს კველაფერს, როგორც თავად მოისურვებს. სტენოგრამაში ისევ პაუზაა... და შემდეგ ჟქტორ სტეპანოვიჩი მოულოდნელად ეთანხმება კორეაკოვს: დიახ, კვე-

ლაზე კარგი ვარიანტი არჩევნების გაუქმებაა.

აქეთ, ზემოტი არ იქნება, კორფაკოვის პირად შეხელულებასაც ვაკეც
ნოთ ჩერნომირდინზე, რომელიც აღნიშვნავს, რომ ერთობ განაცვლებია ჩერ-
ნომირდინის მიღრეკილებამ უწმაწური გინებისაკენ... ვიქტორ სტეპანოვი-
ჩისთვის დჯის გინება ურთიერთობის ჩვეულ ფორმას წარმადგენს.

გორბაჩიოვსაც თურმე პოლიტბიუროზე გინების გარეშე არ შეეძლო
სიტყვის წარმოთქმა. ეს კველაფერი ძალიან აღიზიანებდა ბორის ნი-
კოლავების, რომელიც უცნებულ გამონათქამების მომხრედ ვერ ჩაითვ-
ლებოდა.

არ მიუვარს ბორის ნიკოლავებიზ

კორფაკოვი ყოველი ზერხით ცდილობდა ელცინის წინასაარჩევნო
შტაბის ხელმძღვანელობა ჩაევდო ხელში. მას არ მოსწონდა ჩუბაისის
გუნდის იმჯობერების მუშაობა. კროხელ, გაცსარებული კამპანიის დროს,
პრეზიდენტის ახალმა იმჯობერებულმა, ქალიშვილმა ტატიანამ, მოახერხა
დაეთანხმებინა მამამისი, ეცეკვა ამორჩევლების წინაშე უნია ოსინის
სიძლერის თანხლებით. კონცერტის შემდეგ კორფაკოვი მივიდა ტანიასთან
და ჰკითხა: გესმით თუ არა, რომ ამ გზით, საკუთარი მამის საფლავამდე
მიყვანა შეიძლება, რაზეც ტატიანამ უპასუხა, რომ კორფაკოვს არაფერი
არ ეშის.

აი, მაშინ მიხვდა მთავარი მცველი: ხელისუფლებისათვის პრეზიდენ-
ტის დარჩენა კი არ იყო მთავარი, არამედ მისი ოჯახისა და „განახლე-
ბული“ გარემოცვისა, ბერეზოვსკისა და ჩუბაისის სახით; რომ ბორის
ნიკოლავების ახალი თანამებრძოლები კი არა, გამძლოლები გაუჩნდნენ.
მათი სუფლიორის როლს ტანია ასრულებდა, რომელსაც სხვისი აზრები
მოპქონდა პრეზიდენტის ფურამდე.

მაგრამ შეფის ასულმა საბოლოო არჩევანის გაკეთება კორფაკოვსა
და მეორე გუნდის წევრებს შორის ადვილად ვერ შესძლო. ეს ნათელი
იყო არჩევნებამდე სამი თვით ადრე. იმ დღეებში პრეზიდენტი ნერვიუ-
ლობდა და საჭიროზე მეტ სასმელს ეძალებოდა. მორიგეო დოზის მიღების
შემდეგ ტანიამ სიხოვა კორფაკოვს, რამენაირად მიეხდა მამამისისათვის.
ტანიას ჩუბაისთან დაახლოებით განაწყენებულმა უფროსმა მცველმა უჩინა,
ჩუბაისისათვის მიემართა. მაგრამ ტანია არ ეშვებოდა, მისი ეიმედებოდა,
რაღაც სჯეროდა, რომ კორფაკოვს უყვარდა ბორის ნიკოლავებიზ. ამ
სიტყვების მოსმენისას კორფაკოვს უცებ ამოუტივტივდა გონებაში წარ-
სულის მთელი ურთიერთობა ელცინთან: გაასენდა შენონი, ბერლინში
ორქესტრის დირიჟორობა, თუ როგორ მოაგლიჯა ელცინმა მას ჰალ-
სტუხი, როდესაც იგი ძალით იჭერდა შეფს ბერლინის ნეოფაშისტთან
„ძალ გაფიცვისაგან“ და გულახდილად მოუგო ტანიას, თუ იტყვის, რომ
მას პრეზიდენტი არ უყვარს, ეს ძალიან რბილად იქნება ნათქვამი. ელცი-
ნის ქალიშვილის თვალებში მტრობის ნაპერწელებმა გაიერდა.

კორფაკოვი იგონებს, რომ ამ აღიარების შემდეგ იგი დიდხანს იჯდა

სიცოცეში გარინდებული. არყის ბოთლის საცობის სახუე მანქანას ატრია-
ალებდა ხელში და ფიქრებს ეძღვოდა. მას ახლა გველაზე ნაკლებად
აწუხებდა ის გარემოება, რომ მის არაკეთილგანწყობილებით წარმოთქმულ
სიტყვებს ქალიშვილი მამას ჩაუქაკლავდა. მას არ ეშინოდა განთავისუ-
ფლების, არც პრეზიდენტთან ურთიერთობის გაწყვეტისა. მან პირველად
გააცნობიერა, რომ არასოდეს ფარებია ელცინი, როგორც ადამიანი. თავიდან,
უბრალოდ მასთან მუშაობდა, იგი განსხვავდებოდა სხვა ნომერ კლატურუ-
ლი მუშაკებისაგან და ეს სხვაობა კორუკოვს ქვეთილად განაწყობდა
მისდამი. შემდეგ, მისი შერისხულობის პერიოდში, ეცოდებოდა. ბორის
ნიკოლაევიჩი ხომ როგორლაც უცცრად აღმოჩნდა ისეთი სუსტი და
გალაზული, რომ ზოგჯერ სიცოცხლეც ბეზრდებოდა ხოლმე... ამ დროს
მხოლოდ მას, კორუკოვს ხელებით გამოყენდა მისი დეპრესიიდან გამოყანა...

აგვისტოს ჰუტჩის შემდეგ კორუკოვს გაუჩნდა აზრი, რომ ელცინს
ბედნიერი ლაგარისის ბილეთი შეხვდა — ასეთი მომგებანი ბილეთი
ისტორიაში ათას წელიწადზე მხოლოდ ერთი მოდის. ხელისუფლება
თითქმის უსისხლოდ გადავიდა დემოკრატების ხელში, მთელი ქვეყანა
ელოდა ცვლილებებს. ელცინს შეეძლო გამოეცენებინა ეს უნიკალური
შანსი. მას ჰქონდა ყველაფერი, რათა ჰკეკიანურად ჩატარებინა რეფორმე-
ბი, მოესპონ კორუფცია, გაეუმჯობესებინა ხალხის ცხოვრების დონე. მა-
გრამ ბორის ნიკოლაევიჩი განსაციიფრებელი სისწავათ გატეხა ჭოვ-
ლივე იმან, რაც თან სივეს შეუზღუდავ ძალაუფლებას: მოიქცნელობამ,
მატერიალურმა კეთილდღეობამ, სრულმა უკონტროლობამ... და ხალხი-
სათვის დანაპირები ჭველა ცვლილებები ხელისუფლების მაღალ ეშ-
ელონებში გაუთავებელი გადანაცვლებებით შემოიფარგლა. რაც უფრო
მეტ ხალხს ანთავისუფლებდნენ, მით მეტი ისეთი ადამიანები მოდიოდნენ
ხელისუფლებაში, რომლებიც ნაკლებად ფიქრობდნენ სახელმწიფო ინ-
ტერესების დაცვაზე. ისინი საზღვარგარეთოელი ინვესტორების, ბანდიტე-
ბისა და საკუთარ ინტერესებს იცავდნენ მხოლოდ და კორუკოვიც მიწვდა,
რომ გადაწყვეტილების მიღებისას ელცინი სულ უფრო ხშირად გამო-
დიოდა არა სახელმწიფოს ინტერესებიდან, არამედ ოჯახური კლანის
მოთხოვნებიდან.

ალექსანდრ კორუკოვი „ბანოიადიდან დაისამდე“

(ფრაგმენტები უშუალოდ უშიშროების
სამსახურის უფროსის მოხოვრაფითდან)
გამომცემლობა „ინტერბუკ“ 1997 წ.)

პირველ ხანებში ბორის ნიკოლაევიჩი გორბაჩივს აღმერთებდა. მის
კაბინეტის საბჭოთა კავშირის კომისიისტური პარტიის გენერალურ მდი-
ვანთან პირდაპირი სატელეფონო ხაზი აკავშირებდა. თუ ის ტელეფონი

რეკლამი, ელცინი თავქადოგლეჯილი მირბოლა ხოლმე აპარატისაკენ. თავიდან მიხალ სერგეევიჩი ხშირად რეკავდა. მაგრამ, რაც უფრო ახლოვდებოდა 1987 წელი, მით უფრო იშვიათად ისმოლა მისი სატელეფონი ზარი. ელცინი თავდაჯერებული კომუნისტი გახლდათ. იგი დიდის გუდმოდგინებით ესწრებოდა პარტიულ ღონისძიებებს და იმხანად მას სულაც არ ურევდა გულს კომუნისტური პარტიის იდეოლოგია. მაგრამ ამ იდეოლოგიის ფარგლებში ის აღმართ კომუნისტური პარტიის ფელაზე გულწრფელი წევრი იყო და სხვა პარტიულ ბოსებზე მეტად ეწადა ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლა.

ერთხელ მე ვესწრებოდი ქალაქეომის სხდომას და უხერხულობის გრძებობას განვიცდიდი, როდესაც ვხედავდი, როგორ ტუქსავდა ელცინი ცუდი მუშაობისათვის დადანაშაულებულ ხელმძღვანელს და, ამავე დროს, ფეხევეშ თელავდა მის ადამიანურ ღირსებას; ლანბლავდა ქაცს და შესანიშნავად უწყოდა, რომ დამცირებულს არ შეეძლო მისივის თანასწორი პასუხი გაეცა.

ქცევის ასეთი მანერა დღემდე შემორჩა პრეზიდენტს. ქალაქეომის ის ბიურო გამახსენდა უშიშროების საბჭოს სხდომაზე 1995 წელს. ჩეჩენების მიერ ბუდიონოვსკში განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ ბორის ნიკოლაევიჩი ამ საბჭოზე თანამდებობიდან ათავისუფლებდა შინაგან საქმეთა მინისტრ ვ. კრინს, პრეზიდენტის რწმუნებულს ჩეჩენებში ნ. დ. კორიოვს, სტავროპოლის აღმინისტრაციის ხელმძღვანელს – კუზნეცოვს და მათ მიწასთან ასწორებდა ჩემთვის უკვე ნაცნობი გამანადგურებელი, ბატონკაცური ტონით... (გვ. 52-53)

* * *

გორბაჩივმა ელცინს შესთავაზა, ოჯახთან ერთად გადასულიყო მის-ულ სამსახურის აგარაკზე, საიდანაც თვითონ ეს-ეს არის გადავიდა. ბორის ნიკოლაევიჩს რემონტისათვის არ დაუცდია, ისე გადავიდა. ასეთი რამ მთელი პარტიული ისტორიის მანძილზე არ მომხდარა. წესად ჰქონდათ, კოსმეტიკურ რემონტს მაინც აკეთებდნენ ხოლმე. გორბაჩივი გადავიდნენ. ჩამოხსნეს კედლიდან სურათები. შპალერზე დარჩა ღია ფერის ლაქები. აღავ-აღავ ღურსმნებს ამოეყოთ თავი, სხვაგან ცარიელი ნახვრეტები მოჩანდა.

ელცინის სწრაფი მოქმედება სრულიად მარტივად ასახსნელი გახლავთ – მას სურდა ეჩვენებინა, რომ გორბაჩიოვის შემდეგ არაუკრს თაკილობს. მე ვფიქრობ, ბორის ნიკოლაევიჩი ვერასოდეს მიაღწევდა ასეთ დიდ ჰოსტს, რომ არ ჰქონდა ჩინით უფროსებისადმი ამგვარი უსიტყვო პარტიული თავდადრეკილობის უნარი... (65-ე გვ.)

* * *

მე არ მიკვირდა, რომ ბორის ნიკოლაევიჩი იქცეოდა ისე, როგორც ნაძღვილი პარტიული დესპოტი. პრაქტიკულად, ასეთი მაღალი რანგის

შველა პარტიულ ამხანაგს ხელქვეითებთან დამოკიდებულების ურთი და იგივე მოქმედების სტილი ჰქონდათ. მე ის უფრო გამაკირვებდა, მისთვის ინტელიგენტური მანერები რომ შემემჩნია. (51-ე გვ.)

* * *

პირად ურთიერთობებს ბორის ნიკოლაევიჩი თავიდანვე მკაცრი ჩარჩოებით საზღვრავდა. ყველას მიძრთავდა „თქვენიბით“, საუბარში მოქლედ იცოდა მოჭრა: „წავედით! მანქანას დამახვედრებთ ამა და ამ დროისათვის. დარეკეთ აქა და აქ. მოძახსენეთ შესრულების თაობაზე“ და მისთ.

პირველი შენიშვნა მისგან მივიღე მანქანის კარების დაზურვისათვის: როდესაც მის კარს ვაღებდი, ერთდროულად პეტავდი ჩემსას. ხოლო, რაღაც მას მარცხნა ხელზე სამი თითი აქლდა, ქვეშეცნეულად სულ შიში იყო, რომ დარჩენილ ფალანგებსაც ოდესმე წააცლილნენ: ვთქვათ, ავტომობილის კარში მოაყოლებდნენ.

მანქანიდან გადმოდიოდა საქმაოდ თავისებურად — ჩააფრინდებოდა კარებს შერის მოთავსებულ მანქანის დგარს და ტანს გადმოიზიდავდა ხოლმე. ამასთანავე, სჭიდებდა აუცილებლად მარჯვენა ხელს. ამ დროს მისი თითები მართლაც სახიფათო ზონაში იძყოფებოდნენ. მე თავიდანვე მივაქციე ყურადღება შეფის მანქანიდან გაღმოსვლის ხასიათს და ამიტომაც ჩემი მხრიდან მის თითებს, ბუნებრივია საფრთხე არ ეშუქრებოდათ. ამდენად, ჩემთვის საწყენი იყო ბორის ნიკოლაევიჩის მწარე შენიშვნა:

— თქვენ მე როდესმე თითებს წამაცლით.

შემდგომში უკვე სხვაგვარად ვირჯებოდი: პირველი მე გადმოვდიოდი, ჩემს კარებს დაკვატავდი და მხოლოდ შემდევ კუდებდი მას. ასე რომ, არც ისე იოლი იყო ელცინთან სამსახური, თუნდაც უბრალო „კარის გამლებად“. (გვ. 50-51)

* * *

ქვეყნად მნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ვისაც შეუძლია ბოლიშის მოხდა აიძულოს ბორის ნიკოლაევიჩს, თუკი მისგან უსამართლოდ მიიღებს წყენას. (213-ე გვ.)

* * *

ურთხელ, როგორლაც, შედარებით აღრე, საღამოს ათი საათისათვის წამოვედით ქალაქკომიდან და მე ბორის ნიკოლაევიჩს მანქანაში მუსიკის მოსმენა შევთავაზე, ივი შემეკითხა:

— რა ჩანაწერები გაქვთ?

— მაქს ანა გერმანი — ვუპასუხე მე და ჩავრთე მაგნიტოფონი. შეგატყვევ, რომ შეფს მოეწონა სიმღერები.

ბორის ნიკოლაევიჩი რადიოს ვერ იტანდა. „ახალ ამბებსაც“ კი არ მასმენინებდა. ხაფი ხმით მიბრძანებდა ხოლმე: — გამორთეთ!

ახლა კი სიამოვნებით უგდებდა მუსიკას ფურს. ჩვენი მანქანა საღამოს მოსკოვის ჭუჩებს მიუყვებოდა. ელცინი იჯდ ჩუმად, სახეზე ლირიკული გამომეტებელებით. ასე განმეორდა რამდენჯერმე. როდესაც მას უკითხებოდნენ, რომელი საესტრადო მომღერალი უყვარს, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე პასუხობდა ხოლმე:

— ანა გერმანი!

მე ეს პასუხი ძალიან მართობდა...

მაგრამ, როდესაც ანა გერმანის შემდეგ სხვა ჩანაწერების მოტანა განვიზრახე, შეფას მოულოდნელად კატეგორიულად ამიკრძალა:

— მორჩა, საქმარისია. მომბეჭრდა...

მუსიკალური საღამოები მანქანაში დამთავრდა. (გვ. 58-59, 60).

* * *

ოცდარვა წლის ასაკში ელცინი უკვე იმ დონის ხელმძღვანელ თანამდებობაზე იყო დანიშნული, რომ მას ჰერსონალური მანქანა ემსახურებოდა. მას შემდეგ არაფრად სჭირდებოდა საჭესთან ჯდომა. მძღოლის გვერდით იყი, ცხადია, არავითარ ფრადებას არ აქცევდა ტრანსპორტის მოძრაობას; კითხულობდა, ფიქრობდა ან თანამგზავრს ესაუბრებოდა. მანქანის ტარების ჩვევები სულმოტლად მივიწყებოდა. სამაგიეროდ ლტოლვა დარჩა საჭისაკენ. ბორის ნიკოლაევიჩი ვწებიანად ოცნებობდა საკუთარი მანქანის ყოლაზე.

ელცინის პირველი საკუთარი მანქანა მოსკოვში იყო „მოსკონი“... ოჯახში კარგა ხანს კამათობდნენ, თუ ვის სახელზე გაუფორმებინათ მანქანა — სიძისა თუ ქალიშვილების.

— მხოლოდ ჩემს სახელზე! — საღავო საკითხი მტკიცედ გადაჭრა ოჯახის უფროსმა. დოკუმენტების გაფორმების შემდეგ ბორის ნიკოლაევიჩს, მიეცემოდა შემთხვევა თუ არა, ხაზგასმით აღნიშნავდა:

— ეს ჩემი მანქანაა.

ერთხელ მან გადაწყვიტა ამ მანქანით გასეირნება. საჭეს მიუჯდა და მე თავის გვერდით დასაჯდომად მიმითითა. მე განწირულად შევძევრი კაბინაში. როდესაც მანქანა ადგილზე შეხტა ქენგურუსავით, მუდარის თვალებით შევხედე ბორის ნიკოლაევიჩს, მაგრამ ის უკვე ტქბებოდა საკუთარი საშოთო ხელოვნებით. მოელი სხეული გამიხევდა დაძაბულობისაგან, მზად ვიყავი ნებისმიერი წუთისათვის ჩავრთულიყავი მძღოლის უფლებამოსილებაში. ამ მომენტში ერთთავად ეჭვება მღრღნიდა: ოდესმე მოუღია კი ბორის ნიკოლაევიჩს მართვის მოწმობა, როგორც წესი და რიგია?

ელცინი ვერ ამჩნევდა ჩემს მღელვარებას, ვერც სხვა მანქანებს გზაში და სიამაყით ვევძოდა, თუ როგორ ატარებდა ახალგაზრდობაში სატვირთო მანქანას, მერე როგორ მიჰყავდა „პობედით“ ცოლ-შვილი დასასვენებლად სამხრეთში. მე თავს ვუქნევდი, ვიდრე მორიგ მოსახვევთან არ შევამწინე, რომ ბორის ნიკოლაევიჩს ისევ აერია პედლები...

ადრე, ამ „მოსკვინამდე“ შევს ჩემს „ნიგაზე“ პქონდა ბედი ნაცალი ქალაქებრუთ. სოფლის თემშარაზე. ივი რაც ძალა და ღონებ პქონდა აჭერდა გაზს და ოღონო-ჩილროებში ჭერს უწათქუნებდით თავს... გზატ-კეცილზე გასვლის დროისათვის კლცინს პედლები აერთა და მეტალის ზოლებიან ზღუდეს შეუჯახა. კიდევ კარგი, ავტოინსპექცია ან გარეშე მანქანები რომ არ აღმოჩნდნენ ახლომახლო...

ელცინი ორჯერ გამოვიდა კრემლიდან თავისი მანქანით... მას შემდეგ მომებატა ჭალარა თმაში... ამ მგზავრობის დროს დაზღვევაზე მახლონებ ჩემი მეგობრები: ერთი მარჯვნიდან მოგვყებოდა „ნივით“ და მეორე - „შიგულით“ მარცხნიდან. მევარად ჩენ ერთბაშად ორ რიგს კუთავისუფლებდით ბორის ნიკოლაევიჩს. მორე საკითხი კიდევ უფრო რთული გადასაჭრელი იყო: უნდა მოგვექტნა უმოსახვევო მარშრუტი. წინააღმდეგ შემთხვევაში მძღოლს პედლები ეშლებოდა და მანქანის ბედი სრულიად ამოუცნობი ხდებოდა... (151-152 გვ.)

* * *

... ჯორჯ ბუში ველოსიპედით სეირნობდა ვიწრო ასფალტიან ბილიკზე. ბორის ნიკოლაევიჩი გაკვირვებულ შზერას აფოლებდა მას. უცირად მან თვალი ჰქიდა მზეზე მოელვარე ღია ფერის ელექტრომობილებს. ამ მინატურულ მანქანებს იყენებონ გოლფის თამაშის დროს: მათზე ამხედრებით უფრო ადვილია ბურთუბის აკრეფა. თუმცა, რა თქმა უნდა, გოლფის გარეშეც შევენივრად შეიძლება ელექტრომობილით განავარდება ქემპლევიდის გზებზე.

ბუშმა შესთავაზა ელცინს ელექტრომობილით მგზავრობა. თვით მიუჯდა საჭეს, გვერდით ბორის ნიკოლაევიჩი მოისევა... თავის სახლთან გააჩრა მანქანა და ელცინს დაუთმო საჭე. ელექტრომობილის მართვა ძალიან ადვილია, ჩართავ სიჩქარეს და დაჭრ პედალს. მანქანას მუხრუჭებიც კი არ გააჩნია. ერთი პრობლემა მხოლოდ - აკუმულატორები რო საათს ჰყოფნის.

ბორის ნიკოლაევიჩს მანქანა ძალიან მოეწონა და ამ სტუმრობის შემდეგ რამდენიმე ცალის შეძენა მოგვიხდა სპეციალურად რუსეთის პრეზიდენტისათვის. მაგრამ ბარეისაში ამ მანქანით მირითადად პრეზიდენტის შვილიშვილები ერთობოდნენ. (232-233 გვ.)

* * *

... ჯორჯ ბუშის კაბინეტში მე ველოდი რაღაც ზეაღმატებულის ხილვას, დაახლოებით ჩენი საპრეზიდენტო რეზიდენციის მაგვარს - სამეცნ დიდებულების მქონე სრა-სასახლებსა და დარბაზებს... რეზიდენციის სისადავებ და უბრალოებამ მწარე საგონებელში ჩამაგდო - ჩემს უკანასკნელ ილუზიებს გამოვეთხოვე: მივხვდი, რომ მსგავსი რამ რუსეთში კარგა დიდი ხნის მანძილზე არ არის მოსალოდნელი. აღმათ „მატერიალური კეთილდღეობის“ პირობებში აღზრდილი არა ერთი და

ორი თაობა უნდა გამოიცვალოს რესეტში, ვიდრე ხელისუფლების სათა-
ვეში მოვა პრეზიდენტი, ვინც ყოველგვარი სიხარის გარეშე შესძლებს იმ
სიკეთეთა აღქმას. რაც თან ახლავს სავარძლისაკენ აღმავალ გზებს...

თეთრ სახლში ჰლეგანტურ ჩარჩოებში ჩასმული ფოტოსურათები
გვკედებათ ყოველ ნაბიჯზე – კაბინეტებში, სხდომათა დარბაზებში, დერუფნებ-
ში... თითოეულ სურათზე აუცილებლად აშშ-ს პრეზიდენტის გამოსახ-
ულებაა: კლინტონი ნადირობისას, კლინტონი დასვენების დროს, სათევზა-
ოდ, კორტზე, სარბენ ბილიკზე... აღრე ბუშის ფოტოსურათები იყო: ნად-
ირობისას, დასვენების დროს, კორტებზე... სიუკეტები წრთი და ივივა,
ფოტოსურათებისათვის განკუთვნილი აღილიც – იგივე, მხოლოდ პერ-
სონაჟთა სახეები იცვლებან...

ბორის ნიკოლაევიჩმა აშშ-ში პირველი ოფიციალური ვიზიტის შემ-
დეგ საკუთარ კაბინეტშიცა და დასასვენებულ ოთახებშიც თავისი სუ-
რათები გამოფინა. (226, 232 გვ.)

* * *

ბორის ნიკოლაევიჩი ბშირად იმეორებდა ხოლმე, თუ რა ცოტას ჭამს
ივი. ეტყობა, ჯერ კიდევ სკერდლოესკის დროიდან ვიღაცამ შთავორნა, რომ
ცუდი მაღა კარგი ტრინი ნიშანია. განსაკუთრებით ეწყობა მსუქან ხორცს.
ლორის ხორცს უფრო შემწევარს გეახლებათ, თანაც კარგა ქონან ნაჭრებს
ამჯობინებს. ცხვრის ხორციც სულ თუმთუმა უნდა იყოს. ხოლო, რაც
შეეხება ხორცის გარნირს, მთლად უბრალოზეც თანხმდება, ნატიფი კულ-
ნარული რეცეპტის გარეშე. (302 გვ.)

* * *

ზოგჯერ ელცინი არად ავლებდა ექიმისა და შზარუელ სამარინის
რჩევას... დაკუტიაში, მაგალითად, 1994-ში ნამდვილი საგანგებო შემთხვე-
ვის მოწმენი გავხდით. ის იყო ბორის ნიკოლაევიჩმა უეხი ჩამოდგა
თვითმფრინავის ტრაპიდან, რომ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა
სიმპათიურმა დაკუტმა გოგონებმა მიართვეს კუმისი. სამარინმა ყურში
ჩასჩურჩულა:

– არავითარ შემთხვევაში არ დალიოთ კუმისი.

განაწესის მიხედვით საკმარისი იყო სასმელის ტუჩქბთან მიტანა და
პურის პატარა ნაჭრის ზედ დატანება. ელცინმა კი გული იჯერა სას-
მელით და სულ მაღე დაეწყო „ქრიზისი“. მისი უსაფრთხოებისათვის
შზრუნველი მთელი გუნდი უეხზე დადგა – მცირე ხნის განმავლობაში
ბორის ნიკოლაევიჩის მთელი მარშრუტის მანძილზე ჩადგეს პატარა ხის
ქოხები. ასეთივე ქოხები ჩაიდგა ყველგან, იქ, საღაც ელცინს უხდებოდა
შეხევდრა აღილობრივ მცხოვრებლებთან... (303 გვ.)

* * *

ქუმოთ აღწერილი მოვლენა ასაბავს ელცინის გერმანიაში ვიზიტის
წრთ გაიზოდს.

... სადილზე ელცინმა ბევრი ღვინო დაღია – გერმანელი ოფიციან-

ტი ჭიქის გავსებას კურ ასწრებდა. მზემ კიდევ უფრო გააძლიერა აღკო-
ჰსლის ჩემოქმედება. პრეზიდენტი ლაღობდა: მჭახე ბარიტონით ხელშო-
ცებდა, ხელებით ევსტიკელირებდა და ათასგვარ სისულეებს რთმულდა
მე მის წინ ვიჯექი და სირცხვილისაგან აღმურმოდებულს მიწა გამ-
სკდომოდა, მერჩა.

სადილის შემდეგ ღონისძიებები გაგრძელდა. ახლა ღღის წესრიგში
იყო დაღუპული საბჭოთა ჯარისკაცების მემორიალთან ყავილების მი-
ტანა. ჩეკი კოლთან ერთად გავემგზავრეთ სპეციალური ავტობუსით. ამ
კომუნიტაბელურ „მერსედესში“ სალონის ნაწილი ეკავა დასაჯდომ სკა-
მებს, ხელო დანარჩენი ფართი გამოყოფილი იყო სამხარეულოსა და
მფუძრო სამგზავრო ბარისათვის, ისე, რომ შეიძლებოდა წახემსება. ბორის
ნიკოლაევიჩმა ბარის ყველა სიამეთა განცდა განიზრახა. მან შეკვეთა
ყავა, მიიტანა ფინჯანი ტუჩქბითან და მოსახვევში მოელი ყავა გულზე
გადაიღვარა. ოთორ ქათქათა პერანგზე დიდი ყავისფერი ლაქა გაჩნდა.
პრეზიდენტმა უხერხეული მოძრაობით დაიწყო ლაქის წმენდა.

კოლმა უშევოთველად აღიქვა მომხდარი. უკუთ რომ ვთქვათ, არანაი-
რი რეაქცია არ გამოუხატავს: პრეზიდენტს ყავა დაექცა, დიდი ამბავი, ვის
არ შემთხვევია ასეთი რამ. ჩვენმა სამსახურმა ერთ წამში გამოაწყო
ასალ პერანგში ბორის ნიკოლაევიჩი — ბიჭებს სულ თან დაპქრინდათ
ტანსაცმლის სათადარიგო კომპლექტები.

... ვიღრე ელცინი ყვავილებით რთავდა მემორიალს, მე შემატყობინებს,
რომ ქაჩის გადაღმა, ფაშისტური პარტიის წარმომადგენლები ყოფილან
შეკრებილი პლაკატებით, მოელი ბრძო. ისინი აღგზნებული ხმით გაკვა-
როდნენ რაღაცებს, მაგრამ მათთან მიახლოება არავითარ შემთხვევაში
არ უნდა დაგვეშვა. პრეზიდენტი კი, თითქოს ჯიბრზე, სწორედ ახლა
ავლენდა „მაღლიერ გერმანულ ხალხთან“ ურთიერთობის სურვილს.

— ბორის ნიკოლაევიჩი, — ამ ხალხთან მისველა კატეორიულად არ
შეიძლება — გავაფრთხილე მე, — ისინი ფაშისტები არიან. თქვენ მათთან
ერთად გადაიღებენ სურათს და მორიგი სკანდალი გამოვევა.

გაფრთხილებამ ელცინზე იმოქმედა ისე, როგორც წითელი ნაჭერი
მოქმედებს ხარზე:

— რაო? მე მაინც მივალ მათთან...

და დემონსტრატიულად გააბიჯა პლაკატებმომარჯვებული ხალ-
ისაკენ. იძულებული ვიყვი მისივის გზა გადამეღობა.

ბორის ნიკოლაევიჩი გააფორდა, პალსტუხში ჩამავლო ხელი და
მოქმება. დღემდე ვერ გამოგა, როგორ გამორჩათ უკრნალისტებს ასეთი
სენსაციური კადრი. „პაექტობა“ დააფიქსირეს მხოლოდ ჩვენი დაცვის
ბიჭებმა — ჩემმა ხელქვეთოებმა. დახეულ-დაგლუჯილი პალსტუხი მე იქვე
მოვიძრე და დავბრუნდი ავტობუსში.

„მერსედესიდან“ გადმოვედი მხოლოდ მაშინ, როდესაც რესეთის
პრეზიდენტმა მერიის წინ დაიწყო მუზიკირება ბერლინის პოლიციის
ორკესტრთან ერთად. არავითარი საღირიკორო ცოდნა ბორის ნიკოლაე-

ვინს არ გააჩნდა. მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მისთვის, გაოგნებული დირიქტორისათვის წარმომა ჯოზი და პულტან მოკალათებულფფი, ელცონი ისეთი ემოციურობით და დამაჯერებლობით იქნევდა ამ სადირიქტო ხელსაწყოს, ვინმეს შეიძლება თვით მუსიკალური ნაწარმოების ატორი პერიოდიდა. მაყურებლებიც, კორესონდენტებიცა და მუსიკოსებიც მეტის-მეტად გამხიარულდნენ. არაფერი მსგავსი არსად და არასოდეს მათ არ ენახათ და საეჭვოა, რომ როდესმე კიდევ ნახონ. რაც შეეხება პრეზი-დენტს, მაყურებლების ყიფინა და შეძანილები მან მიიღო თავისი დირი-გორული ტალანტის საერთო აღიარებად...

როდესაც ჯოზის წევით გული იჯერა, ელცინმა გადაწყვიტა ემდერა „კალინ კა-მალინ კას“ რამდენიმე კუპლეტი. სიტყვები სრულად არ იცოდა, სამაგიეროდ ცალკეულ ფრაზებს შთავონებულად, მოელი გულით დასახოდა ომახიანი ხმით. როგორც წესი, „კალინ კას“ სიძლერას ელცინი უხამებდა ხოლმე კოვჭების დაკრის აკრმანებრტს. საბედნიეროდ, ამჯერად მას ხელთ არ ჰქონდა კოვჭები... (217-219 გვ.)

* * *

...ასტრახანში მოქალაქეებთან ჩვენი ურთიერთობა, როგორც წესი, მყარდებოთა წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით. სცენარის შემ-მუშავებლების ფანტაზია ამჯერადაც ადგილობრივი ხაზინის ზურგზე გადავიდა. ვიზიტის მეორე დღეს ბორის ნიკოლაევიჩი ადგილობრივ მე-თვეზებთან ერთად ეწერდა ბადეს კოლგიდან. ბადეში უბარმაზარი ზურგზი ფართხალებდნენ, რომელებიც პრეზიდენტის ჩამოსვლამდე წინდაწინ იყო იქ ჩაწყობილი. მეთვეზებს მაღალყელიანი რეზინის ჩექშები ეცვათ, ხოლო შეფა პირდაპირ თავისი მოღური ფეხსაცმელებით შეალვა წაჭალში, ბადის ამოწევაში მისახმარებლად.

შემდეგ ეკვე მეთვეზების ქოხში აღინიშნა წარმატებული თვეზაობა. მაგიდაზე დახხავეს შავი ხიზილალის გორები, სხვადასხვა ჯიშის თვეზეული და ასტრახანული არაფი. ელცინს სიცხეში დალევა რომაგად ჰქონდა აკრძალული — რადგან ასეთ შემთხვევაში იგი აგრძეს იული ხდებოდა. მაგრამ სუფრაზე არაფერი ურიგო არ მოუმოქმედება.

მასპინძლებს მაღლობა გადავუხადეთ და ჩავსხედით „მი-8“-ში, რათა ქალაქს დავბრუნებულიყოთ. პრეზიდენტთან ერთად ვერტმფრენში იმყოფებოდნენ ასტრახანის ოლქის ადმინისტრაციის უფროსი ანატოლი გუშვინი, განაწესის ხელმძღვანელი ვლადიმირ შევჩენკო, პრეზიდენტის თანამებრტე ანატოლი კორაბელშინიკვა, ადოუტანტი ანატოლი კუნძულივა... ჩვენ ვიწრო საღონში პირაპირ ვისხდით. მე გავიხედე ილუმინატორში — ჩვენს ქვემოთ წარმოუდგენელი სილამაზის ხედი იშლებოდა და უერად პრეზიდენტმა მიიღო ისეთი სახე, თითქოს მხოლოდ ახლა შენიშნა მდინარის ნაპირზე ქვიშით მოთხვრილი ფეხსაცმელები. მან ნელნელა ასწა ფეხი და პირდაპირ ფეხსაცმლიანად დააბრეხვა იგი მაგიდაზე.

მე გულგრილად გავაყოლე თვალი ორცხობილას ნაფხვენებით შესორსოლებულ კატლეტივით აძოგანგლულ ფეხსაცმელს და ისევ ფანჯარაში განვაგრძე ცქერა. ელცინის პირდაპირ მჯდომი, მოუღოძელობისაგან დაბნეული გუვვინი, რომელიც მიჩვეული არ იყო მსგავს „სამეფო ფრეკუებს“, მე მეონი, მზად იყო უპარაშეტოდ გადამხტარიყო ძირს.

— აბა? — შეკითხვის სახით დასვა საკითხი პრეზიდენტმა.

ყველანი დუმდნენ. მან მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა. მე განვაგრძობი პეტაჟით ტკბობას.

— ფურსაც არ იძერტყავს — ავად ჩაიბურდეუნა შეფა. კიდევ ერთხელ შეათვალიერა თავისი ფეხსაცმელი და დაიღრიალა:

— ე, ადიუტანტო!!!

ტოლია შემოვარდა სალონში. შეფა თვალებით უხმოდ ანიშნა ფეხსაცმელზე.

პოლკოვნიკმა კუნწეცოვმა აღმურომდებული, მაგრამ შეუვალი სახით გახადა შეფა დასვრილი ფეხსაცმელი, რომელიც მარჯვედ ჩამოართვა ახლად შემოსწრებულმა ოფიციანტმა სერგეიმ. ცოტა ხანში პრეზიდენტმა უკანე მიიღო თავისი ფეხსაცმელი — გაკრიალებული, სულ პატარა ჭიმის ნამცველის გარეშე... (334-335 გვ.)

* * *

96-ის გაზაფხულზე, გაჩაღებული წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ჩვენ გავეძგნავრეთ მოსკოვის ანლო პრეზიდენტაში. პროვორამაში იყო სამშობლოსათვის დაღუპულთა მემორიალთან ყვავილების მიტანა სოფელ ატეპცევში. შემდეგ იქვე, იმავე ობელისკთან შეხვედრა ვეტერანებთან. სადღესასწაულო ცერემონიალის და ვეტერანებთან საუბრის შემდეგ პრეზიდენტს შეახვედრეს ხუთი-ექვსი წლის ბავშვები. ისინი ღია ფერის ქურთუკებში იყვნენ გამოწყობილი, მთელი სახე უცინოდათ და ყველას ემჩნეოდა, რომ აშკარად შეიცნეს ელცინი ნაცნობი ბაბუა ტელევიზორიდან. ბორის ნიკოლაევიჩი მათ მოუკავა თავისი შეილიშვილის შესახებ: რა კარგი ბიჭია ბორიკა და რა ლამაზები და კოხტები არიან კატია და მაშა და როგორ უყვარს მას ისინი.

— თქვენ კი ეხმარებით თქვენს შშობლებს? — თოვლის ბაბუის ინტონაციით ჩაეკითხა მათ ელცინი.

— დიახ, ვეხმარებით.

— აბა მითხარით, რას აკეთებთ თქვენს ბაღჩასა და ბოსტანში? — არცხობოდა პრეზიდენტი.

— ვრგავთ, ბაღაზებს ვძირკვავთ, ვრწყვავთ...

და აი აქ ბორის ნიკოლაევიჩმა უფროსებიცა და ბავშვებიც განაცვიფრა:

— აი მე, აქმომდე თვითონ ვთესავ კარტოფილს, თვითონვე ვიღებ მოსავალს. მთელი ჩვენი ოჯახი მისდევს ამ საქმიანობას. ყოველ გაზაფხულზე რვა ტომარას ვიღებთ მიწიდან. მთელი ზამთარი ჩვენი საკუთარი კარტო-

ფილით ვსახრდოობთ.

ბავშვებს ეს ფანტაზიები მოეწონათ. მე კი სიცილს ძლიერს ვიკავებდი და ვცდილობდი თვალებით არ შევხვედროდი ოლეგ სისკოვეცს, თორებ შეიძლებოდა თავი ვერ შეგვეყავებონა და ავხარხარებულიყავით.

ელცინს სულ უფრო ხშირად მოუვლიდა ხოლმე მთხველობის დაუკეტებული ფინი. ამის გამო ჩვენს წრეში მას ოლელუკიე დავარქვით, მეზღაპრის სახელის მიხედვით თანამოსახელე ზღაპრიდან.

მაგრამ ყოველთვის როდი იწვევდა სიცილს მისი მოხუცებულობითი ახილებულობა. მე დღესაც აღმფოთება მიჲ კრობს, როდესაც მაგონდება, როგორ მოიგონა მან იმ 29 სნაიპერის შესახებ, რომელებიც შზად იყვნენ ჩეჩენი ტერორისტების მისახვრებად სოფელ პეტრომაისკში. (331-332 გვ.)

* * *

ადრე ელცინი ენერგიის მარაგს ივსებდა ქუჩაში ადამიანებთან ურთიერთობით. თუმცა, მე, მართალი გითხრათ, მომბეჭრდა სხვადასხვა ადგილებში ერთი და იგივე ხუმრობებისა და ერთი და იგივე დანაპირებების მოსმენა... მაგრამ დროთა განმავლობაში მუდამ კველაურით უკმაყოფილო ხალხთან შეხვედრები უკვე აღიზიანებდა შეფს და იგი უპირატესობას ანიჭებდა საზღვარგარეთ მოგზაურობებს; კეთილმოსურნე და მაძარ ადამიანებთან საუბარი ხომ გაცილებით უფრო იოლია.

... რაც უფრო ცუდად გრძნობდა თავს პრეზიდენტი, მით უფრო უმლიდნენ ნერვებს მასთან ურთიერთობის მოსურნე მოქალაქეები. განსაკუთრებით, თუ ვინმე უსიამოვნო შეკითხვებით მიმართავდა. სულ უფრო ხშირად წყვეტდა შეხვედრებს:

— მორჩა, საკმარისია, ჩაქსხდეთ სწრაფად მანქანაში.

გზადაგზა შეფი გულისწყრობის გამოთქვამდა:

— ისევ ჭკუათხელი ქალი შემხვდა, მთელი დღით გამიფუჭა ხასიათი. თურმე არაფერი ყოფილა მისი მოსაწონი. რას წუწუნებს ნეტავ, როდესაც მე ვხედავ, რომ ბაზარში კველაური თავზე საყრელადა. იყიდე და მიირთვი.

იმას კი არ კითხულობდა: რითი უნდა იყიდო? ხელფასს რომ არ აძლევენ?! (331, 332-333 გვ.)

* * *

მე ჭოველთვის დაბეჭითებით მოვითხოვდი, რომ არც ნაინა იოსი-ფონა, არც ტატიანა ბორისოვნა და არც სიხვა ვინმე ელცინის ოჯახიდან არ ჩარეულიყვნენ დაცვის საქმეში. რაძენჯვერმე ნაინა იოსიფოვნა ცრემლებამდე მიმიყვანას პრეზიდენტის თანდასწრებით, მისი ახირებულობის პასუხად — თუ ვინ მოგვეცილებინა დაცვიდან, ვინ დავგვენიშნა და სად გადაგვევევანა...

ნაინა იოსიფოვნა ცდილობდა თავისთან დაეტოვებინა ისეთი თანამშრომლები, რომლებიც მას დაწვრილებით მოახსენებდნენ: რა, სად, როგორ...

რაისა გორბაჩიოვასაც ამორჩევის სპეციფიკური კრიტერიუმი პქონდა: მისთვის მოპქონდათ პრეტენდენტების ფოტოსურათები და იგი გარუსონით — ცხვირის ფორმითა თუ თვალების ფერის მიხედვით არჩევდა გამოსაღებო და ეს კაცი დაცვაში, თუ კინებე უფრო სიმპათიური ებებნა. ქნ გორბაჩიოვას უკან მიმავალი აღიუტანტი მის პირად რედიქტულს მიაპორწიალებდა. ნაინაც მის მაგალითს მიჰყა... (230-231 გვ.)

* * *

თავისი ქმრის ზეობის ხანაში, გორბაჩიოვის მუედლე რაისა მაქსიმოვნა, როგორც წესი, კველა სამეურნეო საქმიანობაში ეროდა... დადიოდა იგი კრემლის დიდ სასახლეში და თითით უჩვენებდა: ეს გაარემონტეთ, ეს შეცვალეთ... მუედლის კაბინეტში მისი ბრძანებით გენერალ პლეხანოვს, სსრკ პრეზიდენტის დაცვის ხელმძღვანელს, თავისი ხელქვეითების თანდასწრებით გადაქმნდა და გადმოპქმნდა უძრავი ტორშერები. როდესაც მე ამ ტორშერების შესახებ მომიყნენ, რატომდაც გავითქმი: იქნებ სწორედ ამიტომაც უდალატა პლეხანოვმა მიხაილ სერგეევიჩს ფოროსში. დამცირებას იშვიათად ჰატიობენ.

ახლა რაისას ნაცვლად კრემლში ბრძანებებს იძლევა ტატიანა, ბორის ნიკოლაევიჩის ასული. თავიდან კრემლის მისეულ აპარტამენტებში მხოლოდ ტუალეტის ქაღალდსა და პირსახოცებს ცვლილნენ. შემდეგ საჭირო შეიქნა ძვირფასი ჭურჭელი — ინდივიდუალური მიღებებისათვის. მერე პრეზიდენტის შხარეულები და ოფიციანტები მოითხოვა და ეს ყველაფერი მოხდა ჯერ კიდევ ტანის მრჩევლად დანიშვნამდე. (125-126 გვ.)

* * *

96 წლის დასაწყისში ელცინი ესტუმრა საფრანგეთს ოფიციალური ვიზიტით. იმხანად ფრანგული პრესა ბევრს წერდა პრეზიდენტ ჟაკ შირაკის უმცროს ქალიშეილზე — კლოდზე. იგი ათი წლის წინ გაიტაცა პოლიტიკამ და არცთუ მცირედად გაისარჯა არჩევნებში მამის გამარჯვებისათვის...

საზღვარგარეული ტანდემი: მამა — პრეზიდენტი და ქალიშეილი — თანაშემწეო მისაბაძ მაგალითად დაისახეს ისეთმა მოღვაწეებმა, როგორებიც არაან ბერეზოვსკი, იუმაშევი და ჩუბაისი. მათ დიდი ხანია ესაჭიროებოდათ ელცინის სიახლოეს ადამიანი, რომელიც აუცილებლად იქნებოდა პატივმოყვარე, არაპროფესიონალი, შთაგონებადი, თანაც ისეთი, რომელსაც შეუფი არანაირი მიზეზით და არანაირ ვითარებაში არ მოიცილებდა თავიდან. ტანია აღმოჩნდა იდეალური კანდიდატურა. მან ნეტარებით შეიშნოვა ხელისუფლებაში ყოფნა და დიდად არ შეუწუხებია თავი ფიქრით: ვის და რატომ დასჭირდა ეს ამბავი.

...ტანიას, ეტყობა, ემანუელ ქალობიდან შემორჩა საკუთარი არარეალიზებულობის კომპლექსი. შემთხვევითით არ იყო მის შესახებ ვიწრო

წრეში ჩუბაისის მიერ ნათქვამი არჩევნების შემდეგ: — ამ გოგონას შეუკარიდა ძალაუფლება. მოდით კცადოთ მისგან კიცე-პრეზიდენტის შექმნა...

— გადადგომაშედე ირი კვირით ადრე მე მასთან მქონდა საუბარი:

— რას შერებით, ტანია? თქვენ ურთი თვის განმავლობაში ზედიზედ შესამეგ გყავთ ჩაწერილი ბერეზოვსკი პრეზიდენტთან მიღებაზე. დაუშვებელია ბიზნესმენებისათვის რაიმე უპირატესობის მინიჭებით მათი ურთმანეთისაგან გამოყოფა. მათ ან ერთად უნდა იარონ, ან თანაბარი უფლება უნდა გააჩნდეთ აუდინციისათვის.

ტანია არ იშარებდა ჩემი დელვის მიზეზებს. ბერეზოვსკი თავს თვლილა კლიინის ოჯახისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პიროვნებად და, ეტყობა, ასეთი თვითდაჯერებულობა მთლიანად გადასდო ტანიასაც. ჟავე აზრი აღარ პქონდა პრეზიდენტის ქალიშვილისათვის იმის ასენა-განმარტებას, რომ დაუშვებელია საეჭვო კომერსანტის ინტერესების ლობირება.

— ტანია, მე ბერეზოვსკის მივახვრებ, როგორც ვირთაგვას — ერთხელ კელარ შევიკავე თავი მე.

მისმა პასუხმა შემძრა ცინიზმით:

— სამა, გემულარებით, რაც გინდათ უყავით, ოღონდ მხოლოდ არჩევნების შემდეგ!

... ტანია მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ღონისძიებებში და, ამავე დროს, კველა მოვლენას აღიქვამდა მოზარდისათვის დამახასიათებელი მიმნდობლობით, ობივატელის უბრალოებითა და ხელზე მოსამსახურე ქალის უქმაყოფილებით. (354-355, 356, 360 გვ.)

* * *

ელცინს დიდად სიამოვნებდა საუბრები საქუთარი პერსონის შესახებ. ეს ალბათ ასაკობრივი თავისებურებაც არის.

ერთი ჩემი ვიზიტის დროს მასთან, ბორის ნიკოლაევიშია რის ვაიგაგლახით წამოსწია თავი ბალიშიდან და ხმადაბლა მითხრა:

— ალექსანდრ ვასილევიჩ, მე გადავწევიტე არჩევნებში მივიღო მონაწილეობა.

მე იქვე დავეთანხმე მას.

— ბორის ნიკოლაევიჩ, ჩენ ამაში ეჭვიც არ გვეპარებოდა. სხვა თქვენი თანაბართასოვანი კანდიდატი არც არსებობს. რა თქმა უნდა, თქვენ რომ ღირსეული შემცვლელი გყავდეთ, შევეძლებოდათ დამშვიდებით წასულიყავით პენსიაზე და გეცოდინებოდათ, რომ ის განაგრძობს თქვენს საქმეს... მაგრამ რა თქვენი ბრალია, რომ ასეთი ვინმე არ არსებობს, იქნებ პრეზიდენტობა თქვენი ჯვარია? მაშ უნდა ატაროთ კიდევ.

ჩემი პასუხი მან ნეტარებით აღვისილი გამომეტებელებით მოისმინა.

— რას იტყვით, თუ ჩემი სარჩევო კამპანიის ხელმძღვანელად ოლეგ სოსკოვეცს დავადგენ? — მკითხა ბოლოს.

მე დავიბენი: – ბორის ნიკოლაევიჩ, მთავრობას რაღა ეშველება? ის ხომ ერთი იმ მცირედთაგანია, ვინც იქ ნამდვილად ასრულებს. თავის მოვალეობას!

... შეფა ჩაცინებით შემომხედა:

– მე მიმიტურთხებია* მაგ მთავრობისათვის, ჩემთვის მთავარია გავი-
მარჯვო არჩევნებში.

ელცინს არ უყვარდა ბილწისტყავობა, მაგრამ ამ მომენტში თავი
ვერ შეიკავა. (320 გვ.)

* * *

მე მქონდა დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, რომ გრაჩოვა
ააწყო კონტაქტები პრესასთან. მე ეს ამბავი ვაუწყე შეფს. მან კი, თავისი ს
ჩემულებისამებრ მოახდინა რეაგირება: – „ისევ გ...***“ ხოლო აი, რას
იქმოდა პაველ სერგეიიჩი: გენერალი-დესპანი დაიარებოდა გაზეთების მთა-
ვარ რეაქტორებთან და აჯილდოებდა ვის პისტოლეტით, ვის ჭირდიკით,
ვის ჭოვრიტით... მოელი სასაჩუქრო ფონდი დაარიგა.

გრაჩოვი უყვარდა რეაქტორებს: „მე ძალად ჩამითრიეს ჩეჩენეთის
ომში, მე მხოლოდ ბრძანებას ვასრულებდი.“ მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით,
როგორ იყო სინამდვილები. განა თვითონ არ იყო, გაშლილ რუკასთან
რომ ასაბუთებდა, თუ როგორ მოაგვარებდა ყველაფერს ათ დღეში...
შეფიც უფრებდა და ხარობდა.“

მე პოზნერმა მკითხა ინტერვიუში: „როგორ აფასებთ თავდაცვის
მინისტრის დადგებით და უარყოფით თვისებებს?“ მე კუპასუხე: „პაველ
სერგეიის 1995 წლის 1 იანვარს, თავის დაბადების დღეს ან ტყვია უნდა
ეკრა შუბლში, ან უნდა გადამდგარიყო, რადგან მან ჩვენი პრეზიდენტი
ჩეჩენეთის ომის მბევლად აქცია“. მაგრამ ეს ფრაზა ამოჭრეს.

... ჩემთან მოღიოღნენ სხვადასხვა ადამიანები და მეუბნებოდნენ: „ელცინ ჯერ გაიდარის ტყვებაში იყო, მერე ჩუბაისს ჩაუკარდა ხელში,
ახლა გრაჩოვის გავლენის ქვეშ მოექცა“. როგორ არ აფრთხილებდნენ
შეფს გრაჩოვის შესახებ, ის კველას ქრთხა და იგივეს პასუხობდა: „პაველ
სერგეიიჩი მე არასოდეს მიღალატებს. ის ისე ალალად იფიციებს ხოლმე!“
მე სულ ვეუბნებოდი: „ბორის ნიკოლაევიჩ, რა შეაშია ფიცი, მთავარია რას
აკეთებს იგი“. (370-371, 384 გვ.)

* * *

ელცინს შენტირებისათვის ამზადებდნენ, მე კი გადავწყვიტე ჩემი
მუხლებისათვის მიმეხედა. ბედის ირონიით ჩვენ ერთსა და იმავე დღეს
გაგეიკეთდა ოპერაცია. თავის დროზე კი მე ჩემი საღი ცხვირის ძგიდე

* დედანში უფრო მასტრი უცენზურო სიტყვაა ნახმარი, რომელსაც ჩვენს
მკითხველს კურ ვაკადრებთ.

** სამი წერტილი კვლავ უცენზურო რეპლიკას გულისხმობს.

მქონდა შეწირული შეფის საკეთილდღეოდ.

ბორის ნიკოლაევის ქირურგული ჩარევის ეშინოდა, და კეიმბებძა კერაფრით აიძულეს იგი საოცერაციო მაგიდაზე დაწოლილიყო. მე გადავდე თავი საცდელი ბაჭიის როლში. ექიმების მიერ ჩემთვის ჩანგრუელმა ცხვირმა სითამამე შესძინა პრეზიდენტს. მაგრამ ეს ხომ ძალიან დიდი ხნის წინათ იყო.

... ძილის წინ მაგონდება ხოლმე ცალკეული ეპიზოდები აღრინდელი ცხოვრებიდან. 1995 წლის გაზაფხულზე მე გამიტევული იყო რეზისი - გამიკერეს თეორი ხაზის თავქარი. თავქარი წარმომეტვა გადაჭარბებული სპორტული და ფიზიკური დატვირთვების შედევად: პრეზის კუნთები დაშორდნენ კრიმინენს და კანის მიღმა შენაგანი ორგანოები მოჩანდა. ექიმები მაძლებლებს ცხერაციის გაკეთებას. ისინი ორ თვეს ითხოვდნენ სარეაბილიტაციოდ, მაგრამ კლიინმა სულ ორი კვირა მაქმარა მკურნალობისათვის.

ცხერაციის მეორე დღეს ბორის ნიკოლაევიჩმა მინახულა საავადმყოფოში. იგი საღამოს ხუთი საათისათვის მესტუმრა და თერთმეტ საათა-მდე დაპყო ჩემთან. პირდაპირ პალატაში გაიშალა სუფრა და დალევა მომიხდა. დროდადრო მე მაგიდიდან ვდეგბოდი და ბალიშს კეკრობოდი. საშინლად ცუდად ვგრძნობდი თავს. ექიმები უკვე და ტექსტით უუბნებოდნენ შეფს, რომ სპირტიანი ჩემთვის წინააღმდეგებენებას წარმოადგენდა. მაგრამ ჩვენთან ასე გახსლდათ მიღებული: თუ პრეზიდენტი გეატიუებოდა, სასმელზე უარის თქმა არ შეიძლებოდა. ბორის ნიკოლაევიჩი საოცრად ეკოისტი ბრძანდება.

გავიდა კვირა, შემხსნეს ნაკრები. მე გადავვედი ბარიქაში და სიარული დავიწყე... გარეთა ნაკერები შემიხორცდა, ხოლო შიგნით, ექიმების პროგნოზით, მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ ჩადგებოდა ყველაფერი ნორმაში. მე კატეგორიულად ამიკრობულების სიმძიმეების აწევა და სპორტული ვარჯიშები.

მაღე სამუშაოზე გავედი. ზუსტად მეორე დღეს კლიინს სტარო ოგარიოვოში დაგეგმილი პჟენდა კუჩმასთან შეხვედრა. უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ლეონიდ დანილოვიჩს სურდა ბორის ნიკოლაევიჩის მხარდაჭერა მოეპოვებინა.

გახშმის შემდეგ საჭირო შეიქნა ჯერ ორივე პრეზიდენტის მხარის დაჭერა ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით, ხოლო შემდეგ კუჩმას გატანაც. ხოლო შეფას სახლიდან გამოსვლისას წინასწორობა დაკარგა და წაპირებულდა. პირდაპირ კარის წირთხლის დაპქრავდა თავს, მე რომ არ მომესწრო და არ დამჭვირა. მაგრამ ძვირად დამიჯდა სიჩაუქე: იმავე წამს თვალთ დამიბნელდა და ისეთი შეგრძნება დამუშევლა, თითქოს ხელმეორედ გამჭრესო, ოღონდ ახლა უკვე უნარკოზოდ...

ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი ასეთი „მავი დღის“ თვით თარიღიც კი ზუსტად დამამახსოვრდა – ეს გახსლდათ 1995 წლის 26 მაისი. მე და პრეზიდენტი კალუგიდან დაგბრუნდით. ვნუკოვო-2-ში მოელი „პოლიტბიური“ შეიკრიბა და სუფრაც იქვე გაიშალა.

ლუკოვმა გულის ამაჩუებელი სადღეგრძელო უძღვნა პრეზიდენტს კლცის მეტად გაძა და კინაღამ იტირა სიხარულისაგან. პასუხად მან ასეთივე კარგი სიტყვა თქვა ოური მიხალოვისის მისამართით. და უკურად, შუაგულ სადღეგრძელოში, კლცინი ჩემსკენ აძრუნებს თავს და მუქმნება:

— თური მიხალოვი! მე არ მჯერა იმ ცნობების, რომლებიც თქვენს შესახებ მოაქვთ ჩემთან... რაღაც-რაღაც ცეკვების თითხნიან, ცილის გწამებენ, ტალახს გესვრიან... — პრეზიდენტს ხმაში ისტერიული ხოტები გაერია.

არ ვიცი, როგორ გადავრჩი, რომ იმ სუფრასთან ინსულტი არ დამემართა. ჯერ ერთიანად გავჭარხლდი, მერე ფერი დავკარგე. ეს იყო საოცარი დამცირება. თუკი ჩემი სამსახური მართლაც ჰქონდა სამხილს, ეს ხომ ელცინის ბრძანებით ხდებოდა!

ყველა წავიდ-წამოვიდა. დავრჩი დარბაზში მარტო. მწარე ფიქრებში ჩავიძირე. არავისებან არასდროს არავითარი საჩუქარი არ ამიღია. მთავაზობდნენ კრედიტებს — კუარობდი. მთავაზობდნენ მზამზარეულ აგარაკს — კუარობდი. პასუხიც მზად მჟონდა:

— თუ პრეზიდენტი დასახლდება, მეც დავსახლდები.

და აი აქ მე პირველად ვიგრძენი: მას შეუძლია ხვალ ასე, დღევანდელივით გამწიროს და მე დავრჩები მარტო გალანძლული კი არა, არამედ ცარიელ-ტარიელიც...

...უკრნალისტები ძალიან ხშირად მისვამენ კითხვას:

— ახლა რომ ბორის ნიკოლაევიჩმა შევთავაზოთ შეხვედრა. წახვიდოდით?

რა თქმა უნდა წავიდოდი: მე გუნდაში წარმოდგენილიც კი მაქვს მთელი ჩევნი დალოგი. დაახლოებით ასეთი სახისა:

— რა არის ეს, ალექსანდრ ვასილევიჩ, ასეთი სისამაგლეები რამ დაგაწერინათ ჩემს შესახებ? შური გინდოდათ გეძიათ, რაკიდა უარი ვთქვა თქვენზე?

— შერისმიერა აქ არაფურ შუაშა, ბორის ნიკოლაევიჩ; სიბრაზებაც უკვე რა ხანა გადამიარა. უბრალოდ მომბეზრდა ეს მისტიუკაციები თქვენი ჯანმრთელობის თაობაზე, თქვენი ინტენსიური მუშაობის შესახებ სამშობლოს სასიკეთოდ. ადრე მე და თქვენ ვფიქრობდით, რომ ხალხს ვატეჭებდით რეფორმების გასავრთებლებიად, დემოქრატიის საკეთოდღულოდ... ახლა კი ნათლად ჩანს, რომ მოყვით ეს ტეულები სჭირდება მხოლოდ თქვენს ოჯახს და იმ ერთ მუჭა ადამიანებს, ვინც გაიპრივატიზირა ხელისუფლება...

— თქვენ თუ ასეთი პრინციპული იყავთ, რატომ აქმდე არ დაწერეთ ეს წიგნი?

— იმად, რომ ერთი წლის წინ თქვენი მზის ჩასვენება აშეარა იყო მხოლოდ ჩემთვის, ახლა კი ხილულა ყველასათვის. ვვინო შემოდგომა დამდგარა თქვენს ცხოვრებაში, ბორის ნიკოლაევიჩ. (391, 392-394 გვ.)

სარჩევი

ნიკიტა სერგეევიჩი	5
ხრუშჩოვი და საქართველო	13
ლეონიძ ილიჩი	25
ბორის ნიკოლაევიჩი	47

სრუპროვი, პრეზენტი, ელიტი გამომცემლობა „დიდოსტატი“

რედაქტორ-შემდგენელი:
ტექნიკური რედაქტორი:

ჭ. ქუთათელაძე
ა. თაქთაქიშვილი

წიგნი გამოდის ავტორთა ხარჯით
ფასი სახელშეკრულებო
ტირაჟი 500 ეგზ.

საქართველოს ბეჭდეითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის
№1 სტამბა, თბილისი, ნუბინიშვილის ქ. №50



國家圖書館
中華人民共和國